ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 21 დეკემბერი, 2018 №302 (7847) ფასი: 60 თეთრი

ცოტნე გამსახურდია: „ეს ქვეყანა ვილაცის სურვილებზეა აწყობილი“

გვ.5

ზვიად გამსახურდიას შვილებს არ უნდა სჭირდებოდეთ შიმშილობა იმისათვის, რომ სამართლიანობა აღდგეს

„ზარდიაშვილი და თალაკვაძე, ნაციონალებთან ერთად, საპარლამენტო გადატრიალებას ამზადებენ“

გვ.4

სანდრო ბრეგაძე: „დღეს საქართველოს ხელისუფლება არის 7 ნოემბრის დამრბევთა ხელში“

გვ.2

„ივანიშვილი ითხოვს პანღურს და ის ამ პანღურს მიიღებს“

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციის ლიდერების დაკავებას არ გამოვრიცხავ“

„გრიგოლ ვაშაძემ დაამტკიცა, რომ სააკაშვილის მონა არ არის“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ჩვენ შეიძლება სომხური რევოლუცია მივიღოთ“

ნინია კაკაბაძე: „როცა პოლიტიკოსები სიმართლეს ვერ ამტკიცებენ, ჟურნალისტებს თავს ესხმიან“

გვ.3

გვ.4

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებამ ტემპერატურა უნდა დაწიოს“

სამართალი გვ.7

დავით კირკიტაძეს პატიმრობა შეეფარდა

გურამ დონაძე სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებიდან განცხადებას ავრცელებს

წელს საქართველოში 4 ე.წ. კანონიერი ქურდი და „ქურდული სამყაროს“ 52 წევრი დააკავეს

ეკონომიკა გვ.6

ქობულია: „შეიძლება ხალხს აქვს განცდა, რომ უარესად ცხოვრობს, მაგრამ ეს ასე არ არის“

„სიცრუეა, თითქოს ევროკავშირის საზღვარზე თხილში აფლატოქსინის აღმოჩენა არ კონტროლდება“

ბათუმის პორტის ტერიტორიაზე ორი მსხვილი ბიზნესინტერესი გადაიკვეთა — „სილქ როუდ ჯგუფი“ „Wondernet Exspress“-ს უპირისპირდება



ISSN 1987-9385

5 ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი ენგურსგამოღმა გადმოსულ მოქალაქეებს გააკონტროლებს

6 კახა კალაძე: „თბილისში 8 ახალი მეტროსადგურის მშენებლობაზე 80 მილიონი დაიხარჯება“

8 აშშ-ს სირიიდან ჯარი გაჰყავს

7 პროკურატურამ რელიგიური ნიშნით დევნისთვის ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

„ივანიშვილი ითხოვს პანღურს და ის ამ პანღურს მიიღებს“

მურმან დუმბაძე: „ოპოზიციის ლიდერების დაკავებას არ გამოვრიცხავ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უშვებს „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე, რა შემთხვევაში გამოვა ხალხი ქუჩაში, რატომ უნდა ივანიშვილს, რომ ის დაამხონ, ვინ დგას გრიგოლ ვაშაძის უკან, რატომ დაიჭირეს დავით კირკიტაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე ესაუბრება

მურმან დუმბაძე:

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც 16 დეკემბერს ველისციხეში ვთქვი, როცა მანქანებით გზა ჩაგვიხერგეს. რამდენიმე ათეული წელია, რაც პოლიტიკაში ვარ და უამრავ მიტინგსა თუ საპროტესტო მსვლელობაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ამ მიტინგებს თუ მსვლელობებს ხელისუფლებების მხრიდან ჰქონდა წინააღმდეგობა, იყო გადაცდომებიც, მაგრამ არასდროს არ ჩაუკეტავთ გზა ისე, რომ ოპოზიციას დანიშნულების ადგილამდე ვერ მიეღწია.

ასეთი რამ არც იქეთა საუკუნეში, შევარდნაძის დროს მომხდარა და არც ამ საუკუნეში სააკაშვილის დროს.

ცემა-ტყეპა და დარბევა იყო, მაგრამ ტრაილერებით, მატარებლით და რუსული „კამაზებით“ გზის ჩახერგვა არ ყოფილა. ეს არის პირველი შემთხვევა. ივანიშვილს დემოკრატიულად ქვეყნის მართვა ძალიან გაუჭირდა და გადავიდა ავტორიტარულ მეთოდზე.

მმართველობის ასეთ ფორმაზე მაშინ გადადიან, როცა ხელისუფლების დაკარგვის შიში იპყრობთ. „ოცნება“ და ივანიშვილი ამ შიშმა შეიპყრო და ისინი ძალიან ცუდად იქცევიან.

გუშინ, 20 დეკემბერს გურჯაანის სასამართლომ დავით კირკიტაძეს აღკვეთის სახით პატიმრობა შეუფარდა. სამაგიეროდ თავისუფალია ოთარ ფარცხალაძე, რომელმაც აუდიტის სამსახურის უფროსს სცემა.

ფარცხალაძემ აუდიტის სამსახურის უფროსი დაწერილი დასკვნის გამო გალახა. კირკიტაძემ კი მსუბუქი წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელს, რომელიც კაცმა არ იცის, რა ბრძანებას ასრულებდა.

მინდა ყველამ კარგად იცოდეს, რომ უკანონო ბრძანების გაცემაც უკანონობაა და მისი შესრულებაც. უკანონო ბრძანების არ დამორჩილება უკანონობა არ არის. ველისციხეში ყველა მომიტინგე ღირსეულად და წესიერად იქცეოდა. რაც მოხდა მოხდა, ამას ვეღარ შევცვლით. ყველა ხელისუფლება საკუთარი შეცდომების მსხვერპლი ხდება და ივანიშვილის ხელისუფლებასაც საკუთარი შეცდომები იმსხვერპლებს.

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ხელისუფლებაში რომ ყოფილიყავით?

– გზას არავითარ შემთხვევაში არ გადავკეტავდი და ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს პროვოცირებას არ გავუკეთებდი, რომლებიც თელავში მშვიდობიანი აქციის ჩასატარებლად მიდიოდნენ.

– ზემოთ თქვით, რომ ყველა წინა ხელისუფლება საკუთარმა შეცდომამ იმსხვერპლაო. „ოცნება“ ვერ ხედება, მათაც იგივე მოუვათ?

– „ქართული ოცნება“ წინამორბედების შეცდომებზე არ სწავლობს, საკუთარს კი საერთოდ ვერ ხედავს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი და იგივე წრეზე ვტრიალებთ – ახალი ხელისუფლება წინამორბედებს აპატიმრებს, თავად უხეშობს და უზრდელობს. ამიტომაც „ვბუქსაობთ“ ერთი და იგივე ადგილზე.

აქამდე კავკასიაში საქართველო პირველ ადგილზე იყო. ახლა დასავლეთმა დემოკრატიის შუქურად და წლის ქვეყანად სომხეთი დაასახელა.

ეს ძალიან დიდი სიგნალი უნდა იყოს იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უფრო მეტი შემართებით იბრძოლონ იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფო განვითარდეს და დემოკრატიული გზებით წავიდეს, თუ არ ვიაქტიურეთ ჩამორჩენილობა გარანტირებული გვაქვს.

– ამბობთ, რომ ხელისუფლება უზრდელობს და უხეშობსო. ამ უზრდელობაზე ბოლო დროს გადავიდნენ და რა ხდება?

– უზრდელობაც არის და უზრდელობაც. კალაძეს დედა ვატირეო გაიძახის, ეკა ბესელია კი მაგიდაზე აბრახუნებს მუშტებს. ერთი მათგანი კორუმპირებულია, მეორე სააკაშვილის ხელების მლოკველი იყო.

19 დეკემბერს დააკავეს გურამ დონაძე. სასამართლომ პატიმრობა 2004 წელს ჩადენილი მკვლელობის დაფარვისთვის მიუსაჯა. ხომ ვერ შემახსენებთ, სად იყო მაშინ კალაძე. როდესაც ჩვენ ბუტა რობაქიძის მკვლელების დასჯას ვითხოვდით, კალაძე სააკაშვილის მხარდამჭერ ბილბორდებზე იყო გამოსახული.

მართლა იმ სახელმწიფოს, იმ პარტიის და იმ ხელისუფლების დედა ვატირე, სადაც კალაძე გეყოლება უფროსად. მაგ უზრდელს ასე უზრდელურად უნდა უპასუხო. მართლა თავხედი ეგა. კაცი მილიონნახევრიანი ქალაქის მერია და ენას კბილებში ვერ აწესრიგებს.

გრიგოლ ვაშაძე არის ზრდილობის და განათლების ეტალონი და მასზე თავხედი კალაძე ასეთ რამეს რომ იტყვის, არ უნდა გადაირიო? მართლა არ შეიძლება ყველაფერი იკადრო, თორემ ჩვენც ბევრი რამე შეგვიძლია.

რაკი ასეთი რამე იკადრა, მაშინ მეც ვიკადრებ უკადრებელს. 2012 წელს კალაძე სამტრედიაში იყრიდა კენჭს. მთხოვეს, რომ ჩავსულიყავი და მისი მხარდამჭერი კამპანია მეწარმოებინა.

იქ ნაცნობები მყავს და მათთან მივედი და მხარდაჭერა ვთხოვე. ეს ნაცნობები წამეჩხუბნენ და მითხრეს, ხარბი კარლოიას ბაღანე გინდათ, პარლამენტში რომ გაიყვანოთო. ძალიან ცუდია, ამას რომ ვამბობ, მაგრამ უზრდელმა კალაძემ მაიძულა.

2012 წელს მოვიგეთ ლანჩხუთი, მოვიგეთ ქუთაისი და ამათ შორის მდებარე სამტრედია წავაგეთ. მაშინ სამტრედიამ უარი თქვა კალაძის არჩევაზე. ახლა რომ დედა ვატირეს გაიძახის, ასეთი მაგარი თუ იყო, რატომ ვერ მოიგო პირველი ტური.

მეორე ტური სასამართლოთი ძლივს მოვიგეთ. ისიც იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლება მოდიოდა და სასამართლო გადმოიხარა ჩვენ მხარეს. ასე რომ, ამ უზრდელმა ბავშვმა ენა უნდა გაასწოროს.

ამ უზრდელმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოში ღირსება ნომერ პირველია. ერთი დოლარი რომ 100 ლარი გახდეს, ქუჩაში არავინ არ გამოვა. ასევე არ გამოვა ხალხი ქუჩაში, ხელფასი 0 ლარი რომ გახდეს. ქართველ კაცს სოციალურ თემაზე გარეთ ვერ გამოიყვან, მაგრამ ქართველს ღირსებას თუ შეულახავ, ის აუცილებლად გამოვა ქუჩაში.

ამათმა უკვე დაიწყეს ღირსების და პატივის აყრა. აქციის მონაწილეებისთვის გზების ჩახერგვა, სწორედ ღირსების აყრაა. ღირსების აყრაა ასევე დედა ვატირეს ძახილი და მაგიდაზე მუშტების ბრახუნი.



„ხელისუფლებას ვურჩევ, ენა მოაწესრიგოს“

დაანებონ ხალხისთვის პატივის და ღირსების აყრას თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაასრულებენ პანღურით. შევარდნაძე და აბაშიძე აზრზე არ მოვიდნენ და ორივემ პანღურით დაასრულა. არადა ერთიც და მეორეც იმ დონისანი იყვნენ, რომ კალაძეს ცალ ჯიბეში ჩაისვამდნენ.

ენა მოაწესრიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში პანღურით დაასრულებენ. ძალიან არ მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ აქეთკენ მიდიან.

ვინ ხარ შენ, რომ გაზს უკეტავ ხალხს, რომელიც თელავში მიდის იმის სათქმელად, რომ სალომე ზურაბიშვილი ხალხის არჩეული პრეზიდენტი არ არის. საქართველოში არჩევნები ყოველთვის ყალბდებოდა, მაგრამ არასდროს მომხდარა, რომ ბღუჯა-ბღუჯა ჩაეყარათ ბიულეტენები.

600.000 კაცს ნახევარი მილიარდი რომ გადაუხადა ივანიშვილმა, ეს მოსყიდვა არ იყო? რა თქმა უნდა, იყო. ამიტომაც არ ჩამოვიდა არც ერთი ევროპელი ლიდერი ამ ქალის ინაუგურაციაზე. გადამდგარი სააკაშვილი მეორედ რომ მოვიდა პრეზიდენტად, მის ინაუგურაციას 5 პრეზიდენტი და ევროპის წამყვანი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

დღეს კი რა ხდება, საქართველო ჩრდილოეთ კორეის დონემდე დავიდა. აი, სადამდე მიგვიყვანა „ოცნებამ“. ამას საქართველოს მოსახლეობა არასდროს არ შეეგუება.

მინდა კარგად იცოდეთ, ივანიშვილს სულაც არ შეშინებია იმის, რომ თელავში აქციას გავმართავდით.

– აბა რატომ ჩაგიხერგათ გზა?

– მას შეეშინდა კრიტიკული მასის, რომელსაც ხელისუფლების რეალური ცვლილება შეუძლია. ეს კრიტიკული მასა უკვე მოგროვდა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ჩვენ ავიღეთ 600.000 ხმა. ერთ თვეში გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერთა რაოდენობა 250.000-ით გაიზარდა. აი, ეს აშინებს ივანიშვილს და მეტი არაფერი.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ კირკიტაძე შეაგდეს ციხეში. მისი დაკავების მთავარი მიზეზი ისაა, რომ მან რუსთავში მოუგო ივანიშვილს. ის ამისთვის დაისაჯა.

– მაგ ლოგიკით გიორგი ბოტკოველიც უნდა დააკავონ, მან თელავში ორივე ტურში მოუგო ხელისუფლების კანდიდატს.

– არც მისი დაკავებაა გამორიცხული. კირკიტაძის ბედი შესაძლოა ოპოზიციის სხვა ლიდერებმაც გაიზიარონ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მეც დამაკაონ.

– თქვენ რატომ უნდა დაგაკაონ?

– იმ სიტყვებისთვის, რაც ვთქვი.

– რა თქვით ამისთანა?

– ვთქვი, რომ ივანიშვილი ითხოვს პანღურს და ამ პანღურს მიიღებს. სხვათა შორის, ხელისუფლებებს პანღურებით წასვლა აწყობს.

– რაში აწყობთ პანღურებით წასვლა?

– გაიქცევიან სადღაც და დაიწყებენ იმაზე საუბარს, რომ უკანონოდ ჩამოაგდეს. ახლა ოპოზიციას ერთიანობა გვმართებს. ძალა მართლა ერთობაშია, მაგრამ ამის გარდა გონიერებაც უნდა გამოვიჩინოთ, კანონის ფარგლებში ყველგან უნდა ვიბრძოლოთ ქუჩაშიც, ჭერქვეშაც, ჭერზედაც და ყველგან, სადაც საბრძოლი იქნება.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას დათანხმდეს. ეს არჩევნები 2020 წლამდე უნდა ჩატარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ცუდად იქნება საქმე.

დღეს ქვეყანა არის კრიტიკულ ზომამდე მისული. 800.000-ზე მეტი ადამიანი ეუბნება ხელისუფლებას, რომ არ ენდობიან. ეს ის ხალხი არაა, ვინც 15 ლარი და 5 კილო კარტოფილი აიღო. ეს ის ხალხია, ვინც ქმნის ქართულ სახელმწიფოს.

– თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლებებს პანღურით წასვლა აწყობთო. „ოცნება“ ამისკენ ხომ არ მიისწრაფვის – შეცდომებს შეცდომებზე უშვებენ.

– არჩევნების გზით ივანიშვილის ხელისუფლება დამარცხდა. პირველ ტურში 1.600.000 კაციდან „ოცნების“ წინააღმდეგ მილიონმა ადამიანმა მისცა ხმა. მაგიტომ გამოვარდა ივანიშვილი არჩევნების მეორე დღეს გაგიჟებული და ათას რამეს დაჰპირდა ხალხს.

ივანიშვილს არ უნდა, რომ არჩევნებით დამარცხდეს. ბიულეტენებით მიხეილ სააკაშვილი დამარცხდა. კაცს 9 წელი ვებრძოდი და ბიძინამ იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ მისი პლუსების დანახვა მიწევს. მისი დიდი პლუსი იყო, რომ მან არჩევნების წაგება აღიარა. მარცხი მან არჩევნების დასრულებიდან 20 წუთში აღიარა.

ივანიშვილიც დამარცხდა, მაგრამ მარცხი არ აღიარა. მას უნდა, რომ პანღურით გააგდონ. გაიქცევა საზღვარგარეთ, სავარაუდოდ რუსეთში, სადაც იტყვის, რომ მე გამაგდეს, თორემ ქვეყანას სწორად ვმართავდი.

სადაც არ უნდა შეხვიდე, ყველგან ხელისუფლებას აგინებენ. არ ვიცი სადამდე გაძლებს ივანიშვილი. კირკიტაძეს დაიჭერ? ძალიან მალე ას კირკიტაძეს მიიღებ.

„ოცნება“ და მისი ლიდერი შეგნებულად უშვებენ ამ შეცდომებს. მათ უნდათ, რომ მიიღონ პანღური, მაგრამ ჩვენ კანონის მიღმა არ გავალთ. ჩვენ ხელისუფლებას ვაიძულებთ, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვაქვს. ნახეთ სადამდე გაიზარდა საგარეო ვალი. ნახეთ რა უჯდება ქვეყანას მთავრობის შენახვა. დღეს, 2012 წელთან შედარებით, 800 მილიონით მეტი ჯდება ხელისუფლების შენახვა.

დღეს ქვეყანა დგას სოციალური აფეთქების ზღვარზე, მაგრამ სოციალური აფეთქება არ იქნება.

– რატომ არ იქნება?

– იმიტომ, რომ სოციალური პრობლემების გამო, ქართველი კაცი გარეთ არ გავა, მაგრამ დედა ვატირეს ძახილის გამო, ხალხი აუცილებლად გავა ქუჩაში. ასე რომ, მოთოკონ ნერვები, ენას კარგად დააჭირონ კბილები და წესიერად მოიქცნენ. კეთილი ინებოს ივანიშვილმა და გრიგოლ ვაშაძეს მოლაპარაკებების მაგიდასთან დაუჯდეს. სხვა გამოსავალი მას მაინც არა აქვს.

– რატომ არა აქვს?

– იმიტომ, რომ ვაშაძის უკან მილიონამდე ადამიანი დგას. „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ საზოგადოება ორად გახლიჩა. მოხდა ხალხის მკვეთრი პოლარიზება. 1992 წელს სხვა კი არაფერი იყო, საქმე სამოქალაქო ომამდე რომ მივიდა. ხელისუფლებამ ეს საფრთხე უნდა ააცილოს ქვეყანას. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

– ოპოზიციის მოვალეობა არ არის?

– როგორ არ არის, მაგრამ ხელისუფლებას უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გრიგოლ ვაშაძემ დაამტკიცა, რომ სააკაშვილის მონა არ არის“

თორნიკე შარაშენიძე: „ჩვენ შეიძლება სომხური რევოლუცია მივიღოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, გურჯაანის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა დავით კირკიტაძეს. ნაცმოძრაობა მწვავედ აკრიტიკებს როგორც პოლიციას, ისე სასამართლოს. რამდენად ობიექტური იყო ეს გადაწყვეტილება და რამდენად სწორად იქცევა ოპოზიცია?

– ჩემი აზრით, საჭირო ნამდვილად არ იყო შეხტომა პოლიციის კორდონზე იმ დღეს. ბუნებრივია ოპოზიციის სურვილი, რომ გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს პროცესებზე და ამითი თავისი ამომრჩევლები და მხარდამჭერები შეაგულიანოს, რაც მე საბოლოო ჯამში არ მიმაჩნია სწორად.

რაც შეეხება განაჩენს, ჩვენთან სასამართლო იმდენად დისკრედიტირებულია, რომ ეს განაჩენი სწორიც რომ იყოს და სამართლიანიც, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩათვლის, რომ მაინც უსამართლოა. ამიტომ ამაზე მეტ კომენტარს არ გავაკეთებ.

– ბოლო პერიოდში ხშირი იყო პოლიციელების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტები და ეს რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩესო. ამაზე რას იტყვით?

– წლების წინ მე მახსოვს, რომ მელორ ვაჩნაძე ასევე ექაჩებოდა პოლიციელებს, ჩასვამდნენ მანქანაში, წაიყვანდა პოლიცია და 100 ლარად გამოუშვებდნენ უკან. ასე რომ, საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან. რეალურად „ოცნება“ აკეთებს იმას, რასაც აკეთებდა ნაცმოძრაობა. სასამართლო ემსახურება მას, ამით ყველაფერია ნათქვამი.

– რამდენად უშვებთ იმას, რომ ოპოზიციის სხვა ლიდერების დაკავებაც მოხდეს?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს მთავრობის პრობლემა უფრო იქნება. მათ დააწვებათ ტვირთად. მერე დაიწყება საუბარი იმაზე, რომ „ოცნებას“ პოლიტპატიმრები ჰყავს. ეს მთავრობა რამდენად მოინელებს ამას, რომელიც ძალიან დამოკიდებულია დასავლეთთან ურთიერთობასა და მის დახმარებაზე, ეს ძალიან სათუოა. მით უმეტეს, მთავრობა არის სუსტი, ეს ფაქტია.

– კირკიტაძის შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს მყარი არგუმენტები, ვიდეოკადრები არსებობს და ვერავინ შეედავება.

– კი ბატონო, გასაგებია, კირკიტაძემ, შესაძლოა, მართლაც დააშავა, მაგრამ რამდენად ადეკვატური იქნება სასჯელი, რომელსაც მას გამოუტანენ, ამის მერე ვილაპარაკოთ.

– რას იტყვით ოპოზიციის სვლებზე, მის ტაქტიკაზე? ჩვენ ასევე ვისმენთ სააკაშვილის შეფასებებს და მის მოწოდებებს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– აშკარად გამოიკვეთა, რომ სააკაშვილს თავის ხაზი აქვს, მისი სურვილია, რომ სწორედ მის ხაზს გაჰყვეს ოპოზიცია, ხოლო ოპოზიცია ამ ხაზს ასე მარტივად არ მიჰყვება და დღეს ეს პრობლემა სახეზეა.

– ოპოზიციის უკანდახევად ჩაითვალა, როდესაც მათ რუსთაველზე კარვები აიღეს. თქვენ რას ფიქრობთ?

– ამაში კარგად ჩანს, რომ ოპოზიციაში წინააღმდეგობებია. კოორდინაცია აკლიათ. ერთადერთი მელია ჰყავთ ქუჩის ლიდერი, ეს არის და ეს. ეს სერიოზული პრობლემაა.

– რით დამთავრდება ეს ყველაფერი? პატარ-პატარა აქციებს გამართავენ კიდევ და შემდეგ დაიშლებიან?

– რა თქმა უნდა, წელს არაფერი არ იქნება. გაზაფხულიდან უნდა ველოდოთ რაღაცებს. იმიტომ, რომ გაზაფხულზე ხალხი იგრძნობს, რომ სიტუაცია არ გამოსწორდა და არაფერი შეიცვალა უკეთესობისკენ და ოპოზიციას ექნება საშუალება, რომ სიტუაცია ხელახლა გაამწვავოს.

– უახლოეს პერიოდში ხედავთ იმის შანსს, რომ ისეთი ძალა გამოიკვეთოს პოლიტიკურ ასპარეზზე, რომელიც ჩააჩოჩებს როგორც „ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას?

– მე აქ ორ ვარიანტს ვხედავ. ერთი, რომ მესამე ძალის ნიშა აითვისოს პირადად გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც გამოიკვეთა, რომ არ არის სააკაშვილის მონა! მეორე ვარიანტია, დავაკვირდეთ, რას იზამს ელისაშვილ-უსუფაშვილის დუეტი.

– შესაძლოა, თავად „ოცნების“ წიაღშიც წარმოიქმნას ახალი ოპოზიციური ძალა, თუნდაც კალაძის სახით. ამაზე რას იტყვით?

– რა გითხრათ, კალაძე ასე მარტივად ვერ მოწყდება „ოცნებას“. დაახლოებით ისე მოწყდება, როგორც „ევროპული საქართველო“ მოწყდა ნაცმოძრაობას. ვინ უნდა იყოს მისი ამომრჩეველი?! მესამე ნიშას ვერანაირად ვერ დაიკავებს. როგორც „ევროპულმა საქართველომ“ ვერ დაიკავა მესამე ნიშა, ასე ვერ დაიკავებს კალაძე ოპოზიციური ძალის ნიშას.

– ელისაშვილს მეტი შანსი აქვს?

– კი, რა თქმა უნდა. მე ახლა არც იმას გამოვრიცხავ, რომ სერიოზული რეპრესიები წავიდეს ოპოზიციონერი ლიდერების მიმართ. ხელისუფლებას აშკარად გაუტკბა ძალის დემონსტრირება. ჩათვალა, რომ უხეშობა და ძალის დემონსტრაცია ამართლებს. თუმცა ეს მისთვისვე იქნება ცუდი. თუ პოლიტპატიმრებზე ალაპარაკდნენ დასავლეთში, ამას საქართველო ვერ გადაიტანს ასე მარტივად.

– ანუ ელოდებით, რომ გაზაფხულზე იქნება პიკი?

– გაისად სიტუაცია ძალიან გართულდება ერთი მარტივი მიზეზის გამო – „ოცნებას“ ამ ეტაპზე არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადაჭრას ელემენტარული პრობლემები, თუნდაც ყოფითი.

ასევე მეორე მთავარი საკითხი – სამართლიანობის განცდის მომენტი. მათ თუ რაიმე რესურსი ჰქონდათ, ამ პრობლემებისთვის აქამდე უნდა გაერთმიათ თავი. 6 წელი თუ ვერაფერს აკეთებ, ძალიან პატარა შანსია, რომ 2 წელში მოახერხო რამე. „ოცნებას“ იმ შემთხვევაში ეძლევა შანსი, თუ მან რადიკალურად შეცვალა თავისი პოლიტიკა. ხოლო თუ ასე ინერციით გააგრძელა სიარული, მას ვერაფერი ვერ უშველის.

თავის დროზე შევარდნაძემაც იძახა, ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში იტრიალოსო. როგორ იტრიალა ხალხმა ლოგინში, კი მიიღო ამაზე პასუხი.

– იგივე გაიმეორა კალაძემ ამ რამდენიმე დღის წინ.

– საინტერესოა, კალაძეს არ ახსოვს, როგორ დამთავრდა შევარდნაძის ასეთი ლაპარაკი?! ძალიან კომიკურ სახეს იღებს ეს ყველაფერი.

– ბევრი ფიქრობს, რომ კიდევ ერთ რევოლუციას ვერ ავცდებით. თქვენ რამდენად ფიქრობთ ასე?

– მე ნამდვილად არ ვარ რევოლუციის მომხრე, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა წაყრუების და წერე-იკითხეს პოლიტიკა, სამწუხაროდ, გამორიცხული არაფერი არ იქნება. სავარაუდოდ, ჩვენ მივიღებთ სომხურ რევოლუციას!

ნინია კაკაბაძე: „როცა პოლიტიკოსები სიმართლეს ვერ ამტკიცებენ, ჟურნალისტებს თავს ესხმიან“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ტვ პირველის“ ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილი სიცრუესა და იაფფასიან პროვოკაციაში დაადანაშაულა, ხოლო „ტვ პირველი“ – სიცრუის ტირაჟირებაში. სააკაშვილი ჟურნალისტის კითხვის გამო გაბრაზდა, როდესაც მან საქართველოს მოქალაქეობის საკუთარი ნებით დათმობა შეახსენა, შემდეგ კი გირგვლიანის საქმეც გაახსენა.

„ეს არის სიცრუე და ამ სიცრუის ტირაჟირებას ახდენს თქვენი ტელევიზია. ძალიან გონიერი ადამიანი ხართ და სამართლე კარგად იცით. საქართველოს ე.წ. ხელისუფლების საქმეები ჩემთან მიმართებაში იყო თითიდან გამოწოვილი.

რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა გირგვლიანის საქმე. ეს იყო შეწყალების საქმე და როგორ შეიძლება შეწყალებაზე ადამიანის გასამართლება. ეს არის იაფფასიანი პროვოკაცია. თქვენ ტყუით ისევ. მე არ გავუსამართლებივარ გირგვლიანის საქმეზე, შეწყალების საქმეზე გამასამართლეს. ეს იყო ყალბი საქმეები“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გადაცემაში „პოლიტმეტრი“.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიტიკოსები ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებას აუგად მოიხსენიებენ. გვახსოვს „ქართული ოცნების“ ლიდერის და ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებებიც, რომელიც „რუსთავი 2“-ს მუდმივად სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს. არსებობს პოლიტიკოსებისა და მედიის ურთიერთობის სხვა ფაქტებიც.

რა ფენომენია პოლიტიკოსების ასეთი ქმედება? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ პუბლიცისტ **ნინია კაკაბაძეს** ესაუბრა.

– მიხეილ სააკაშვილმა კრიტიკული კითხვების გამო „ტვ პირველს“ უთხრა, რომ ის სიცრუის ტირაჟირებას ახდენს, ხოლო ჟურნალისტი ტყუილში დაადანაშაულა. გვახსოვს, ბიძინა ივანიშვილი რომ ადანაშაულებდა „რუსთავი 2“-ს ტყუილში. რა ფენომენია ეს და როგორ შეიძლება აიხსნას პოლიტიკოსების ასეთი ქმედება?

– არა მგონია, ამას რაღაც გრძელი ახსნა ჰქონდეს. ნამდვილად ასეა, რომ ნებისმიერი ხელისუფლების რიგითი წევრი თუ მისი მეთაური ყოველთვის გამოირჩევა იმით, რომ მათ არ უყვართ კრიტიკული კითხვები და ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც კრიტიკული კითხვების დროს ისინი უზრდელობით პასუხობენ. თავს არიდებენ კითხვაზე პასუხის გაცემას და გადმოდიან შეტევაზე.

არ ვიცი, რითი უნდა აიხსნას ეს. ალბათ იმით, რომ ისინი არ არიან მართლები და არ აქვთ საშუალება, დაამტკიცონ საკუთარი სიმართლე. ამიტომ გადადიან თავდასხმაზე, როგორც თავდაცვის საუკეთესო საშუალებაზე.

– საზოგადოებამ რა პასუხი უნდა გასცეს ასეთ პოლიტიკოსებს?

– საზოგადოებამ ისინი კიდევ უფრო უნდა გააკრიტიკოს. სხვა რა პასუხი უნდა გასცეს, ვერ გეტყვით. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეთ პოლიტიკოსებს აღარ ველაპარაკოთ ჟურნალისტები და ინტერვიუ არ ავიღოთ მათგან. ასე არ გამოვა. მაინც უნდა ველაპარაკოთ და მაინც უნდა დავსვათ კრიტიკული კითხვები. ამიტომ ყველაფერს ყოველთვის თავისი სახელი უნდა დავარქვათ.

სამწუხაროა, რომ დღეს მედია ისევ და ისევ პოლარიზებულია. არიან ჟურნალისტები, რომლებიც კრიტიკულ კითხვებს მხოლოდ ერთი მიმართულებით სვამენ, ან მეორე მიმართულებით. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ის სიტუაცია, როდესაც ჟურნალისტების სრული უმრავლესობა კრიტიკული იქნება ნებისმიერი პოლიტიკოსის და ნებისმიერი პოლიტიკური რკალის მიმართ, რაც არის მისი უმთავრესი ფუნქცია.

– მე მგონი, „ტვ პირველი“ ამ მხრივ გამონაკლისია.

– დიახ, „ტვ პირველი“ ამ მხრივ ნამდვილად გამონაკლისია. ეს კვლევებმაც დაადასტურა და ყველა მონიტორინგის შედეგში ეს იყო ნაჩვენები. „ტვ პირველი“ არის ის ტელეარხი, რომელიც ღიად არ გამოხატავს თავის სიმპათიებს თუ ანტიპათიებს და ყველას მიმართ ერთნაირად კრიტიკულია. ასეთივეა აჭარის ტელევიზიაც. ბოლო კვლევების მიხედვით, ეს ორი ტელევიზიაა ყველაზე მიუკერძოებელი და ნებისმიერ შემთხვევაში კრიტიკულია.

– განსხვავებული პოზიციაა თავად ჟურნალისტებშიც. უნდა გამოხატავდეს თუ არა ჟურნალისტი და მედია ღიად პოზიციას?

– არა, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოხატავდეს. ვერაფერს ორიგინალურს მე ვერ ვიტყვი. არსებობს საავტორო გადაცემები, სადაც შეიძლება წამყვანი გამოხატავდეს თავის მოსაზრებებს, მაგრამ ზოგადად და უმეტეს შემთხვევაში მიზანშეწონილია ნეიტრალურობა. ვერ მოვთხოვთ ჟურნალისტს, არ ჰქონდეს თავისი პოზიცია. მაგრამ, აუცილებელია, რომ ეს ელემენტარული ჟურნალისტური სტანდარტი დავიცვათ, რომ მე, როგორც მაყურებელი, ვერ ვხვდებოდე, ის რა პოზიციაზეა, ვის გულშემატკივრობს და ვინ არის მისი სიმპათია თუ ანტიპათია ამ პოლიტიკურ ძალებში.

პირველ რიგში იგულისხმება საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები და აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანები, რომლებიც სტუდიაში უნდა იწვევდნენ ნებისმიერი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს და ერთნაირად კრიტიკულები იყვნენ ყველა მხარის მიმართ.

– უნდა იყვნენ თუ არა ისეთი ფიგურებიც, რომლებიც გამოხატავენ ჰომოფობიურ, ქსენოფობიურ და სხვადასხვა სახის ფობიურ აზრებს? გვინახავს ასეთებიც არაერთ თოქ-შოუში.

– სამწუხაროდ, ასეთი პერსონებით გაჯერებულია თოქ-შოუები. ნელ-ნელა ამ გადაწყვეტილებამდეც რაღაცნაირად უნდა მივიდეთ, რომ ასეთ ადამიანებს, ვინც ახდენენ ჰომოფობიური, ქსენოფობიური და სხვადასხვა ასეთი ტიპის აზრების ტირაჟირებას, არ უნდა დავუთმოთ სატელევიზიო ეთერი. თუკი ვუთმობთ და მოულოდნელად ის აკეთებს ჰომოფობიურ და ქსენოფობიურ განცხადებას, წამყვანის ვალდებულებაა, იქვე შეეწინააღმდეგოს მას და მიუთითოს, რომ მისი განცხადება არის ქსენოფობიური, ჰომოფობიური თუ სხვა და მისი ღია ეთერში საუბარი არ შეიძლება.

სამწუხაროდ, ჩვენი მედია აქამდე ჯერ ვერ განვითარდა, თუმცა ნელი ნაბიჯით მივიწევთ წინ და, იმედია, ოდესღაც მივაღწევთ.

– იმ პოლიტიკური ძალებისთვისაც ხომ არ არის ამ კონკრეტული პოლიტიკოსების ქცევები დამაბრკოლებელი, რომელ პარტიებსაც წარმოადგენენ?

– რა თქმა უნდა. საზოგადოება უკვე გაიზარდა და უმეტეს შემთხვევაში სწორად რეაგირებს პოლიტიკური ლიდერების განცხადებებზე. მაგალითად, სააკაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში არაერთხელ მინახავს თავად მისი მხარდამჭერებისგან კრიტიკული შენიშვნები, რომ ასე საუბარი არ არის სწორი. იგივე ქმედებას ალბათ ივანიშვილის მომხრეებისგანაც ვეღირსებით. მაინც იმედია იმ თვალსაზრისით, რომ მათივე მხარდამჭერები სწორად რეაგირებენ. ეს არის გამოსავალი ჩვენთვის – საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება თავად ამ ლიდერებს, რა გითხრათ, ალბათ ისინიც ისწავლიან. ასეთი ტიპის განცხადებებზე პირველ რიგში საზოგადოებისგან უნდა იყოს ისეთი ტიპის რეაგირება, რომ მათთვის წამგებიანი იყოს. დღეს ასე არ არის, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ისმის ხოლმე კრიტიკული შეფასებები, რაც ძალიან კარგი და დადებითი ტენდენციაა.

„ზარდიაშვილი და თალაკვაძე, ნაციონალებთან ერთად, საპარლამენტო გადატრიალებას ამზადებენ“

სანდრო ბრეგაძე: „დღეს საქართველოს ხელისუფლება არის 7 ნოემბრის დამრბევთა ხელში“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება „ოცნების“ საპარლამენტო გუნდში, ვინ ჩაიგდო ხელში „ქართული ოცნება“, რა კავშირი აქვთ თალაკვაძეს და ზარდიაშვილს ზაზა ბეგაშვილის დაჯგუფებასთან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** ესაუბრება.

– თქვენ სოციალური ქსელით სკანდალური ინფორმაცია გაავრცელეთ. ამბობთ, რომ ვანო ზარდიაშვილი და არჩილ თალაკვაძე 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ რუსთაველზე დადიოდნენ და სპეცრაზმელებს მადლობას ეუბნებოდნენ. საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

– ეს ინფორმაცია იმ ადამიანებისგან მაქვს, რომლებიც იმ აქციაში ღებულობდნენ მონაწილეობას. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ყოფილა, უბრალოდ, მე გავიგე გვიან.

თვითმხილველების თქმით, ვანო ზარდიაშვილი ზაზა ბეგაშვილის რაზმის პირველ რიგებში იყო, ისინი სისხლით მორწყულ რუსთაველზე გამოვიდნენ და მიშა, მიშას ყვიროდნენ.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, არჩილ თალაკვაძეც იქ იყო. ოღონდ ის ნიღბიანი ახალგაზრდების რიგებში იდგა. მათ ბეგაშვილთან ერთად მადლობა გადაუხადეს იმ სპეცრაზმელებს, რომლებმაც 7 ნოემბერს ოპოზიცია სასტიკად დაარბიეს.

არჩილ თალაკვაძის და ვანო ზარდიაშვილისნაირები დღეს „ქართულ ოცნებაში მრავლად არიან. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ეროვნული გვარდიის სარდლად დაინიშნა პირი, რომელიც მეგიზ ქარდავასთან ერთად სადამსჯელო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. ამაზე ხელისუფლებას არანაირი განმარტება არ გაუკეთებია.

არავისთვის დასამალი აღარ არის და მეც პირდაპირ ვიტყვი, რომ დღეს ზარდიაშვილი და თალაკვაძე ნაციონალებთან ერთად საპარლამენტო გადატრიალებას ამზადებენ.

– რას ნიშნავს საპარლამენტო გადატრიალებას ამზადებენ?

– უნდათ, რომ პარლამენტში ყველა საკვანძო თანამდებობა ხელში ჩაიგდონ. მათ მიზანში „ოცნების“ ძველი გვარდიის წევრები ჰყავთ ამოღებული. მათი პირველი სამიზნე არის ეკა ბესელია.

დღეს რა პროცესებიც ეკა ბესელიას წინააღმდეგ მიდის, არის ამათ მიერ აგორებული. სიმართლე გითხრათ, ამ ქალბატონის გულშემატკივარი არა ვარ, მაგრამ მარაზმია, როცა ვანო ზარდიაშვილი სალომე სამადაშვილთან, ოთო კახიძესთან და სხვა მარაზმატიკებთან ერთად ცდილობს, ეკა ბესელია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან გადააყენოს.

– ეკა ბესელიას რას ერჩიან?

– ზარდიაშვილს უნდა, რომ თავად გახდეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. მას ამაში თალაკვაძე და პარლამენტის ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი ეხმარებიან. ამით იმის თქმა მინდა, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლება არის 7 ნოემბრის დამრბევთა ხელში.

თქვენს მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს სააკაშვილის დროინდელი ახალგაზრდული ბანაკები. მიშა იქ მყოფ ახალგაზრდებს მოუწოდებდა, ბუჩქებში გაერთეთო. არჩილ თალაკვაძე ამ ბანაკების და ბუჩქების ერთ-ერთი უფროსი იყო, სადაც ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთიდან მოხვდა.

– როგორც ამბობენ, ის დავით კირკიტაძის მარჯვენა ხელი იყო.

– მარჯვენა ხელი ხმამაღალი ნათქვამია. თალაკვაძე კირკიტაძის ხელის ბიჭი იყო და ეს ყველამ იცის. ეს ადამიანები 2012 წელს ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ. რაც შეეხება ზარდიაშვილს, ის ხშირ შემთხვევაში ადეიშვილზე უფრო დიდი დამნაშავეა.

ადამიანები, რომლებსაც ციხეებში აწამებდნენ, უშუალოდ ზარდიაშვილის ხელით არიან დაჭერილები. ის აწარმოებდა ამ ადამიანების საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობას.

2012 წლის არჩევნების დროს, როცა მე და ირაკლი ალასანია, ჩვენს სხვა თანამებრძოლებთან ერთად, ახალაიების ბანდფორმირებებთან საბრძოლველად ვიყავით წასული, ზარდიაშვილი იმ ადამიანებს სჯიდა, ვინც „ოცნების“ მხარდამჭერ აქციებზე დადიოდა.

ზოგს სამსახურიდან ათავისუფლებდა, ზოგს სანქციებს უწესებდა. ამის ვიდეომტკიცებულებები არსებობს, ჰაერზე მოტანილი ინფორმაციებით არ გელაპარაკებით.

– რა ვიდეოკადრებზეა საუბარი?

– სასამართლოს თანამშრომლები მას პირდაპირ ადებენ ხელს და ზეწოლაში ადანაშაულებენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს მამუკა მდინარაძეც, რომელიც არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ზარდიაშვილთან და თალაკვაძესთან ერთად აქტიურად დარბოდა ნაციონალებთან. ეგონათ, რომ ისინი ბრუნდებოდნენ ხელისუფლებაში.

– საპრეზიდენტო არჩევნებზე გაქვთ საუბარი?

– დიახ. ისინი პირველი ტურის შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდნენ ნაციონალებთან. ის პროცესები, რაც ახლო მომავალში პარლამენტში დაიწყება, სწორედ ამის მანიშნებელია.

როგორც უკვე გითხარით, მათი ამჟამინდელი სამიზნე არის ეკა ბესელია, მაგრამ მას სხვა ძველი მეოცნებეებიც მიჰყვებიან. ამ სამეულის მიზანია, რომ მათმა კლანმა ჩაიგდოს ხელში საპარლამენტო ხელისუფლება.

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, არჩევნების პირველი ტურის მეორე დღეს რომ გამობრძანდით და მთელ საქართველოს სთხოვეთ, ერთი წელი მომეცით და ცვლილებებს განვახორციელებო, ეს ზონდერები არიან დაპირებული ცვლილებები. ან იქნებ კახა კობერიძეა დაპირებული ცვლილება?!

კახა კობერიძე სააკაშვილის დროს იყო ადეიშვილის პირველი მოადგილე. დღეს ეს ადამიანი ვიცე-გუბერნატორია ქვემო ქართლში. ქვემო ქართლში და კონკრეტულად რუსთავში „ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები ორივე ტურში წააგო. ახლა რომ კითხულობენ, რატომ წავაგეთო, ადეიშვილის მოადგილე რომ გეყოლება რეგიონის ხელმძღვანელად, წააგებ, აბა რა იქნება.

თან კახა კობერიძე ის ადამიანია, ვინც ზარდიაშვილთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ადამიანების დაპატიმრებებში.

მე ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ – იმაში, რაც იმ 9 წლის მანძილზე ხდებოდა, მარტო ადეიშვილი და მერაბიშვილი იყვნენ დამნაშავეები? რა გამოდის – ერთი მათგანი ძებნაშია, მეორე ციხეში, მათი თანაშემწეები კი სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე არიან დანიშნული.

სამწუხაროდ, ივანიშვილმა მთელი საქართველო ურცხვად მოატყუა, როცა პირობა დადო, რომ ეს ყველაფერი შეწყდებოდა. არაფერი არ შეწყდება და არაფერი არ გამოსწორდება!

როდესაც ვთქვი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილს მხარს არ დავუჭერდი, ბევრი ადამიანი გამინაწყენდა. ამ ადამიანებს მე ვეძახი აბრეშუმის ჭიებს. ისინი ერთი დღის ცხოვრებით ცხოვრობენ და შემდეგ ჭუპრიდან გამოსული პეპლებივით გაფრინდებიან.

ასეთი ადამიანები გამინაწყენდნენ და ნაციონალების მხარდაჭერას მაბრალებენ. ჩემთვის სალომე ზურაბიშვილი არაფერს არ წარმოადგენს. ის არც ქვეყანას არგებს რამეს. 5 წელი იქნება იმ სასახლეში. გაერთობა და არაფერს არ მოიკლებს.

ჩემთვის სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა იყო იმ პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელმაც სახელმწიფო კრახამდე მიიყვანა. აი, ამიტომ არ დავუჭირე ამ ქალს მხარი.

არ მჯერა იმ ზღაპრების, რომ ხალხო, ახლა გვერდში დაგვიდექით და ერთ წელიწადში ყველაფერს გამოვასწორებთ. მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, რომ არც მათ დაუჯერონ ზღაპრებს.

7 ნოემბრის დამრბევებისა და სააკაშვილის ბინძური დავალებების შემსრულებლებიდან ერთი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია, მეორე – იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ამ დროს ადამიანი სად უნდა წახვიდე და რა უნდა თქვა. არაფერია სათქმელი.

მინდა იცოდეთ, რომ ეს ზარდიაშვილი და მდინარაძე დღეს სასამართლოს და პროკურატურას მართავენ და ბევრ რამეს წყვეტენ ქვეყანაში.

ვინ იყო მამუკა მდინარაძე? მიდით და მის შესახებ ნებისმიერ ადვოკატს ჰკითხეთ. ის იყო ადეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც პატიმრების ოჯახების წევრები ფულს აძლევდნენ, რათა საქმეები ჩაეწყოთ ადეიშვილთან.

მდინარაძე ამ საქმეებს ზარდიაშვილის დახმარებით აწყობდა.

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებამ ტემპერატურა უნდა დაწიოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პრემიერმა მიმდინარე წელი შეაჯამა. ორი მთავარი გამოწვევა დაასახელა – ოკუპაცია და სოციალური მდგომარეობა. თქვენ როგორ შეაფასებთ პრემიერის აქცენტებს?

– მე ვეთანხმები პრემიერს. სწორია, ორივე სერიოზული გამოწვევაა. მე მესამესაც დავამატებდი – ორად გახლეჩილი საზოგადოება. დიდი შერიგება, დიდი კომპრომისი თუ არ მოხდა, არაფერი არ გამოვა. ქვეყანა წინ ვერ წავა. გახლეჩილი საზოგადოება ვერც ეკონომიკურ ფონს გააუმჯობესებს, ვერც დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს. თუ ქვეყანა ერთად არ იქნება შეკრული, მით უფრო 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე, ასე შორს ვერ წავალთ. ჯერ კიდევ ფიდელ კასტრო ამბობდა: თუ ხალხი ერთიანია, ის დაუმარცხებელია.

ვინაიდან განხეთქილების მთავარი მიზეზი პოლიტიკაა, კომპრომისი გარდაუვალია. ვინაიდან განხეთქილების მიზეზი პოლიტიკაა და არა, მაგალითად, ეკონომიკა, კომპრომისი უნდა მოინახოს. პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა.

– განვითარებული პროცესების კულმინაცია რა შეიძლება იყოს?

– მხოლოდ კომპრომისის მიღწევა, შეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს უახლეს ისტორიას ახსოვს, ამ გახლეჩამ რა მოგვიტანა.

– ხელისუფლება ფიქრობს, რომ ეს ომი მოიგო.

– ხელისუფლებამ ომი ვერ მოიგო, მან შეტაკება მოიგო. ხელისუფლების პრობლემა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა რომ იყოს, ეს პრობლემა ხუთი წლის წინ იქნებოდა გადაჭრილი და ნაციონალური მოძრაობა დღეს მარგინალური სექტა იქნებოდა, რომელსაც არანაირი გავლენა არ ექნებოდა. ამ შემთხვევაში მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი წამოეყენებინათ.

სურათი კი სულ სხვაგვარად განვითარდა. ნაციონალურმა მოძრაობამ ყველა განაწყენებული ადამიანის ლიდერობა იკისრა. რამდენად გამოუვიდა ან გამოუვა, ეს სხვა საკითხია. თუმცა, ამას ჩვენ 2020 წლის არჩევნებზე ვნახავთ.

მთავარი მაინც ის არის, რომ მათ პირველ შედეგს მიაღწიეს. ამ არჩევნების პირველი ტური ნაციონალური მოძრაობის მკვდრეთით აღდგომა იყო. შეიძლება ისინი არ დამეთანხმონ და მითხრან, ჩვენ სულ მაგრად ვიდექითო, მაგრამ ეს ასე არ არის.

– ამ ფონზე ხელისუფლების პოლიტიკა რა უნდა იყოს, რა უნდა დაუპირისპიროს?

– ყველაზე ჭკვიანური იქნება, ტემპერატურა დაწიოს. დუღილის ტემპებმა უნდა დაიწიოს და პროცესები ქუჩიდან შიგნით უნდა შეიტანოს. შეიძლება ახლა ხელისუფლება ცდილობს გააშიშვლოს ოპოზიცია და თქვას, ხალხს ვერ აგროვებს, ნახეთ, როგორ დარბიან და ა.შ. მაგრამ მერწმუნეთ, სულ ასე ვერ იქნება, ყოველდღიური პროტესტი, ხმაური, ეს ყველაფერი, რასაც ვუყურებთ, დამიჯერეთ, მაინც რაღაცას აკლებს ხელისუფლებას.

კი, შეიძლება, ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ ორთქლის გამოშვების შესაძლებლობას აძლევენ ოპოზიციას, რის შემდეგ დაღლილი ოპოზიცია სახლში წავა, მაგრამ ეყოფა კი ოპოზიციას, იგივე ვაშაძეს, რომელიც საჯარო პოლიტიკაში ნეოფიტია (ის პროფესიონალია საგარეო პოლიტიკაში, ამას ვერ წაართმევ), პოლიტიკური ალღო?!

ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს მთავრობაში. ამიტომ, რაღაც დიალოგი უნდა დაიწყოს, სხვა გამოსავალი არ არის. მესმის, ძალიან ძნელია, საკუთარ თავს გადააბიჯო. მით უმეტეს, როდესაც კირკიტაძის საქმენი საგმირონია ნანახი გაქვს და იცი, მაგრამ შენ თუ ჭკვიანი ხელისუფალი ხარ, ისიც უნდა გესმოდეს, რომ მეტი მოგეთხოვება, როგორც ხელისუფალს.

თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, ეს ჩემი სიტყვები გააცნობიერონ და ამ სიტყვების მნიშვნელობა ესმოდეთ „ქართულ ოცნებაში“.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქ პოლიტიკოსები არ არიან და პოლიტიკოსის მენტალობა არ ესმით. მთელი პრობლემა იმაშია, რომ მმართველ პარტიაში არც ერთი პოლიტიკოსი არ არის.

– ისინი ასე არ ფიქრობენ.

– რა თქმა უნდა. შედარებით, ვისაც შეიძლება პოლიტიკოსი ვუწოდო, მე მხოლოდ გია ვოლსკიზე ვიტყოდი. ამიტომ არის, რომ ვოლსკი ცდილობს, სხვებზე ზომიერი იყოს. თუმცა, მასაც ეშინია, რომ მისმა კოლეგებმა სხვა თვალით არ შეხედონ.

მათ არ ესმით, რა არის პოლიტიკა. ბევრ მათგანს პოლიტიკა პირადი შურისძიება ჰგონია. სამწუხაროდ, ამის მაგალითებს ვუყურებთ ყოველდღე პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან. ის, რასაც მმართველი პარტია პოლიტიკას უწოდებს, პოლიტიკა არ არის.

„ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაითავისა, რომ ის მმართველი პოლიტიკური ძალაა, რომ ის უფრო მიმტევებელი უნდა იყოს და რომ ის უფრო მეტად არის პასუხისმგებელი, ვიდრე სხვა ყველა დანარჩენი პარტია.

ამას წინათ მმართველი პარტიის ახალგაზრდა წევრი გამოდიოდა და ხმამაღლა გაჰკიოდა, ჩვენ თუ გვლანძღავენ, რა, პასუხი არ უნდა გავცეთ?! დიახ, არ უნდა გასცე, მით უმეტეს, იმავე რიტორიკით, იმავე ფორმებით. ამით ხომ იმას ამტკიცებენ, რომ პოლიტიკურ კულტურასთან საერთოდ ახლოს არ არიან.

მე კარგად მახსოვს პარლამენტში მარადმწვანე დეპუტატები. ეს ცალკე უბედურებაა, მაგრამ შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს, 10-20 წელი პარლამენტში რომ იყვნენ, ზოგიერთი მათგანი დღესაც კი არის დეპუტატი, მაგრამ პოლიტიკოსი მაინც ვერ გახდა.

– კონკრეტულად ვისზე საუბრობთ?

– გვარები თქვენც მშვენივრად იცით და თქვენი მკითხველიც შესანიშნავად მიხვდება. ის დეპუტატები საკუთარ თავებსაც კარგად ამოიცნობენ.

ახლა მთავარი მაინც ერთია – ხელისუფლებამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და, როგორც პასუხისმგებლიანმა მთავრობამ, ყველაფერი გააკეთოს, რომ არავის, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, არ გაუჩნდეს არც ერთი დამატებითი კითხვა. მხოლოდ სიმართლე და სიმართლე.

ცოტნე გამსახურდია: „ეს ქვეყანა ვილაცის სურვილებზეა აწყობილი“

ზვიად გამსახურდიას შვილებს არ უნდა სჭირდებოდეთ შიმშილობა იმისათვის, რომ სამართლიანობა აღდგეს

გულიკო ბალაძე

მთავარ პროკურატურაში მოშიმშილე საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილებმა, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მიმართეს, შეასრულონ შუამავლის როლი ხელისუფლებასთან.

ასევე მოითხოვენ, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის, ვინ გააფუჭა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე და ვინ შეიყვანა გამოძიება ჩიხში.

მათი მოთხოვნაა აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანა და 25-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გაუქმება და უმაღლესი თანამდებობის პირების შემთხვევაში გამოძიების უვადოდ გაგრძელება.

გუშინ მთავარ პროკურატურაში მოშიმშილე პირველი პრეზიდენტის შვილებს, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებს, სოლიდარობა გამოუცხადეს შვილმკვდარმა მამებმა ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა. ისინი მოშიმშილე კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებთან პროკურატურაში იმყოფებოდნენ.

კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები უკვე მე-8 დღეა შიმშილობენ, თუმცა, მათ არავინ გამოხმაურებია და არც ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან მაშინ, როცა ყოველ წუთს შეიძლება დამძიმდეს სიტუაცია.

„ახალი თაობა“ ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიებს ესაუბრა.

კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, საქმესთან დაკავშირებით არაფერი განსაკუთრებული სიახლე არ არის.

– პატონო კონსტანტინე, მე-8 დღეა შიმშილობთ, თავს როგორ გრძნობთ?

– ნორმალურად.

– დღეის მდგომარეობით, რა შეგიძლიათ თქვათ?

– არაფერი განსაკუთრებული სიახლე არ არის.

– არც არავინ დაგკავშირებიათ, ვთქვათ, იგივე ხელისუფლებიდან?

– არა.

– როგორც ვიცი, ხელისუფლებაში არიან თქვენი თანამოაზრეები.

– არავინ დაგვკავშირებია.

– ხელისუფლების მისამართით სათქმელი რა გაქვთ?

– ჩვენ მივმართეთ დიპლომატიურ კორპუსს, ვთხოვეთ, შუამავლის როლი შეასრულონ. მოვითხოვეთ საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის, ვინ გააფუჭა ზვიად გამსახურდიას საქმე და ვინ შეიყვანა გამოძიება ასეთ ჩიხში. ასევე მოვითხოვეთ ორგანულ კანონში ცვლილება, რომელიც გულისხმობს ხანდაზმულობის ვადის, 25-წლიდან უვადომდე გაზრდას იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებს.

ცოტნე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ქვეყანაში არ არის კანონი, არც კანონიერება და არც სამართლიანობა.

– პატონო ცოტნე, თავს როგორ გრძნობთ?

– მადლობთ, ნორმალურად.

– ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ თუ იმყოფებით. უკვე მე-8 დღეა შიმშილობთ.

– არავითარი მეთვალყურეობა არ ხდება. არც უცდიათ, არც არავინ მოსულა. არც დაინტერესებულან. არც მე მაქვს სურვილი.

– საქმესთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? როგორ შეიძლება გადაწყდეს?

– მე როგორ გითხრათ, საქმე როგორ შეიძლება გადაწყდეს. ეს მათ უნდა ჰკითხოთ, ვინც, სამწუხაროდ, ამ ქვეყანას მართავს თავისი შეხედულებისამებრ. ახლა ჩვენთან მოსული არიან მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძე. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ხდება ვილაცის სურვილზე, რაღაც კომპრომატებით, ჩვენთვის გაურკვეველი მექანიზმებით.

არ არსებობს არც კანონი, არც კანონიერება, არც სამართლიანობა. ხალხის უმეტესობა ასეა. აქ რომ ვსხედვართ, კიდევ მრავალი შემთხვევის შესახებ ვიგებთ, რომელიც გამოუძიებელია. აქ უამრავი ადამიანი მოდის, რომელიც რაღაცის გაპროტესტებას ცდილობს, ვილაცას შვილი მოუკლეს, ვილაცას ძმა მოუკლეს, ვილაცას კი მშობელი. ეს ადამიანები სამართალს ეძებენ. კიდევ უამრავი ადამიანია, ვისაც არც აქ მოსვლის და არც ადვოკატის აყვანის საშუალება აქვს.

ერთ-ერთ ასაკოვან კაცთან ერთად ვიმგზავრე, რომელმაც მითხრა, რომ თეთრიწყაროს რაიონში ბიძა დაუწვეს თურმე. 4 ათასი ლარი ჰქონდა სახლში, ვილაცები შეიჭრნენ სახლში, ფული წაიღეს, სახლი და მისი პატრონი კი დაწვეს. წლები გადის, დანაშაული კი არც არავის გამოუძიებია.

ქვეყანა ვილაცის სურვილებზეა აწყობილი. მათ ასეთი ქვეყანა აწყობთ. ხალხი რომ ასეთ დღეშია, ეს სამართლებრივი ნიჰილიზმის დამკვიდრებას უწყობს ხელს, რაც მათ წისქვილზე ასხამს წყალს. რაც მეტი ადამიანი ჩაიქნევს ხელს და რაც მეტი ადამიანი იქნება პასიური, სუსტი და ღატაკი ამ ქვეყანაში, მათ აწყობთ. ეს მათ მმართველობის ვადას გაუხანგრძლივებს.

– ტრაგედია დაიწყო 27 და 25 წლის წინ. 22 დეკემბერი მოდის. იმ დღეს გასროლილმა ტყვიამ, ფაქტობრივად, შეცვალა საქართველოს ისტორია.

– იმ დღეს საქართველოს ესროლეს. მაშინ ის კი არ მოხდა, რომ ერთმა ხელისუფლებამ შეცვალა მეორე, ერთმა ხელისუფალმა შეცვალა მეორე თუნდაც ძალადობრივი გზით, არამედ ქვეყანას დაეპატრონა მაფია.

მას შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება კი შეიცვალა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამაც კი, მიუხედავად რადიკალური ნაბიჯებისა, ვერ შეძლო ამის შეცვლა. შემდეგ თავად გახდა, გარკვეულწილად, ამ ყველაფრის ნაწილი. ბიძინა ივანიშვილი ხომ იდეალურად მოერგო ამ ყველაფერს. თავიდან იყო მრავალპარტიული პარლამენტი, კოალიციური მმართველობა. ჩვენ გვქონდა შანსი, ისევე, როგორც 2004 წელს.

– მე მგონი, 2012 წლის შემდეგ ერთი ნაბიჯი ის იყო, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე გადაკვალიფიცირდა მკვლელობად.

– კი, ასე იყო, მაგრამ ისევ და ისევ ჩვენი ხალხის ბრალია. მე 2016 წელს ვაცხადებდი, რომ მირჩევნია 5 თუ 10 ნაციონალი დეპუტატით მეტი შევიდეს პარლამენტში და „ოცნებას“ არ ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა-მეთქი. მაშინ ნაციონალად მომნათლეს. მე არც ნაციონალი ვარ და არც ქოციონალი. უბრალოდ სიტუაციას ნორმალურად ვაფასებ და ვიცი, რომ ერთი პარტიის, ერთი კაცის, ერთი ჯგუფის ხელში მოხვედრილი ძალაუფლება არის ცალსახა ბოროტება, თუნდაც მე ვიყო ან ჩემი ოჯახის წევრი.

* * *

პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ, მალხაზ მაჩალიკაშვილმა, „ახალ თაობასთან“ განაცხადა, რომ მთელი ქვეყანა უნდა დადგეს ფეხზე, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე გამოუძიებლად არ დაიხუროს.

მალხაზ მაჩალიკაშვილი:

– მთელი ქვეყანა უნდა დადგეს ფეხზე, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე გამოუძიებლად არ დაიხუროს. მე, ჩეჩენი ადამიანი, სხვა რწმენის, სხვა რელიგიის, მაგრამ სულით ქართველი ვარ.

– პატონო მალხაზ, თქვენ ალბათ მომსწრე ხართ იმ მოვლენების, რაც 1992 და 1993 წლებში მოხდა.

– დიახ, მე მომსწრე ვარ და თვითონ კარგად ვიცნობდი ზვიად გამსახურდიას.

– პირადად იცნობდით?

– დიახ, ვიცნობდი. ის იყო ისეთი ადამიანი, როგორც შეეფერება ქართველ ადამიანს, ქართველ კაცს. ის იყო ნამდვილი ქართველი, ნამდვილი პატრიოტი. ხელისუფლება რას აკეთებს? დღევანდელი ხელისუფლება ხომ აცხადებს, ყველა მთავრობას ვჯობივართო? დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიების შნო და კაცობა რომ არ აქვთ, მათ რა უნდა ელაპარაკო? ამიტომ მთელი ქვეყანა უნდა დადგეს ფეხზე და მიაღწიონ იმას, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობა იყოს გამოძიებული.

– თქვენს საქმესთან დაკავშირებით რა ხდება?

– ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმესთან ჩემი საქმის დაკავშირება არც მინდა.

ზაზა სარალიძე:

– აქ, სამწუხაროდ, საფიქრალიც აღარაფერია. აქ საუბარია ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებაზე, რომელიც მთელი ქვეყნის პრესტიჟია. ჩემი აზრით, ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს. ზვიად გამსახურდიას შვილებს და ოჯახის წევრებს არ უნდა სჭირდებოდეთ შიმშილობა იმისათვის, რომ სამართლიანობა იქნას აღდგენილი და სამართალმა იზეიმოს.

ელემენტარულად, ეს ხალხი უკვე რამდენიმე დღეა აქ არის და პასუხის ღირსადაც კი არ თვლიან. ამაზე გვაქვს ჩვენ უდიდესი გართულება. ვცხოვრობთ ისეთ სახელმწიფოში, სადაც სამართალი არ არსებობს, ფაქტობრივად, არ უნდათ, სამართალი რომ იყოს. უნდათ, საქართველოში კრიმინალი რომ იყოს გამძაფრებული. ფაქტია, ტენდენციაც ასეთია, ყოველდღიურად მესმის, ვილაც მოკლეს, ვილაც აჩეხეს, გამოდის, უნდათ, საქართველო კრიმინალური ქვეყანა იყოს.

ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი ენგურსგამოღმა გადმოსულ მოქალაქეებს გააკონტროლებს

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ენგურზე გადმოვლენ, მკაცრი კონტროლის დაწესება დეფაქტო პრეზიდენტს, რაულ ხაჯიმბას მისმა მომხრეებმა მოსთხოვეს.

ისინი მმართველი პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ მორიგ ყრილობაზე შეიკრიბნენ.

ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ბევრი მოთხოვნაა გამოთქმული, რაც არატრადიციულია ხელისუფლების მხარდამჭერი პარტიისათვის, თუმცა შეეფერება აფხაზეთში შექმნილ რთულ პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კრიმინოგენულ ვითარებას.

დელეგატებმა მიმართეს საოკუპაციო რეჟიმის მეთაურს, უფრო მეტად გაამყაროს საოკუპაციო ზოლი, მათი სიტყვებით, „სახელმწიფო საზღვარი აფხაზეთსა და მტრულ საქართველოს“ შორის და გაამკაცროს კონტროლი აფხაზეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც გადმოდიან საოკუპაციო ხაზზე.

ეს მოთხოვნები ხაჯიმბას მიმდევრებმა გაახმიანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი შესრულდება. როგორ გააკონტროლებენ დანარჩენ საქართველოში წამოსულ აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს, უცნობია. ოკუპირებულ რეგიონს ამის ბერკეტები ვერ ექნება. შეიძლება, ენგურზე გადმოსვლა კიდევ უფრო მეტად შეიზღუდოს.

სახელისუფლებო პარტიამ სხვა მოთხოვნებიც წამოსწია. ესენია: სასამართლო სისტემისა და თვითმმართველობის სრულყოფა, საბანკო რეფორმის ბოლომდე მიყვანა, საგადასახადო დისციპლინის გამტკიცება და კორუფციასთან ბრძოლა.

აფხაზი კორუმპირებული ჩინოსნები ყრილობამდე ერთი დღით ადრე გააკრიტიკა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა ასლან ბჟანიამ.

მისი თქმით, აფხაზ გლეხებს ადგილობრივი კორუმპირებული მოხელეები ძარცვავენ იმ დროს, როცა მანდარინი რუსეთში მიაქვთ. თითო კილოგრამი მანდარინის გადატანა რუსეთში მათ 11 რუბლი უჯდებათ.

ასლან ბჟანიამ ასევე განაცხადა, რომ ხაჯიბმა და მისი გუნდი აფერხებენ აფხაზეთის განვითარებას. მათ იმის უნარიც კი არ შესწევთ, რომ რუსეთიდან შემოსული თანხები აითვისონ. საინვესტიციო პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ბევრი მშენებლობა ჩაშლილია. ხაჯიმბას არ აქვს ის თვისებები, რომლებიც არძინბას, ბაღაფშსა და ანქვაბს ჰქონდათ. როცა ხაჯიმბა ოპოზიციონერი იყო, არასდროს ცნობდა აფხაზეთში გამართული არჩევნების შედეგებს, ხოლო თავის მოქმედებებს აგებდა ცილისწამებასა და პოპულიზმზე. 2004 წლიდან მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება აფხაზეთში სწორედ ხაჯიმბამ შემოიტანა.

ოპონენტები ისევ აკრიტიკებენ ხაჯიმბას იმის გამო, რომ მისი ხელისუფლება არაფერს აკეთებს, გარდა საკუთარი ჯიბეების გავსებისა.

„ერთიანობის ფორუმის“ ყრილობაზე ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ მისგან რესპუბლიკაში მკაცრ ხელს ითხოვენ, ის კი ავტორიტარიზმის წინააღმდეგია, ვინაიდან, ასეთი სტილი ეწინააღმდეგება აფხაზი საზოგადოების კულტურასა და ტრადიციებს. ამასთან, სამსახურებში მიღებულია სიმკაცრე და პრინციპულობა, რაც არავის გაუუქმებია.

ოპოზიცია კვლავინდებურად მოითხოვს „საპრეზიდენტო“ არჩევნების 2019 წლის ზაფხულის მაგივრად გაზაფხულზე ჩატარებას. მათი აზრით, არჩევნებს ყოველთვის ახლავს ექსცესები, რაც შეამცირებს ტურისტების ნაკადს რუსეთიდან. ხაჯიმბა ამ მოთხოვნას არ ასრულებს. იგი აცხადებს, რომ არჩევნები დადგენილ ვადაში გაიმართება.

ხაჯიმბასადმი მოსახლეობის ნდობა დაეცა. მიუხედავად ამისა, ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მაინც აპირებს. ვინ იქნება მისი მთავარი კონკურენტი, ჯერ უცნობია. შესაძლოა, ეს ალექსანდრე ანქვაბის ძველი თანამოაზრე ასლან ბჟანია იყოს.

ბათუმის პორტის ტერიტორიაზე ორი მსხვილი ბიზნესინტერესი გადაიკვეთა – „სილქ როუდ ჯგუფი“ „Wondernet Exspress“-ს უპირისპირდება

ლოჯისტიკური კომპანია „Wondernet Exspress“ და „სილქ როუდ ჯგუფი“ – ეს არის ის ორი მსხვილი კომპანია, რომელთა პირადი ინტერესები ერთმანეთს ბათუმის პორტში უპირისპირდება.

კერძოდ, „Wondernet Exspress“-ის დამფუძნებელი დიმიტრი აბდუშელიშვილი, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ახლო მეგობარია, გეგმავს პორტის ადგილას დამატებით კიდევ ერთი ახალი ტერმინალის აშენებას. პროექტის მიხედვით ბათუმის ნავსადგურში სასუქის, კარბამიდის ტერმინალის მშენებლობაა განსაზღვრული. ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაანონსდა, როდესაც მამუკა ბახტაძე ფინანსთა მინისტრი გახლდათ და ცნობილია, რომ იგი თავად ესწრებოდა პროექტის პრეზენტაციასაც. გაურკვეველი მიზეზების გამო, ღონისძიების შემდეგ პროექტის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა და საკითხი აქტუალური სულ რამდენიმე დღის წინ გახდა.

პარალელურად ბათუმში პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ირკვევა, კომპანია „სილქ როუდ ჯგუფი“ საცხოვრებელი კორპუსების მასშტაბურ მშენებლობას გეგმავს. საუბარია სილქ თაუერის პროექტზე, რომლის ფარგლებში პორტთან ახლოს, სანაპიროზე უნდა აშენდეს 6 მრავალსართულიანი შენობა, მოეწყოს რეკრეაციული ზონები და იახტ კლუბი, რაც ძირითადად ტურისტებზე იქნება გათვლილი.

ამ ორი ქეისის ურთიერთდაპირისპირების მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ დარგის სპეციალისტებისა და თავად „სილქ როუდ ჯგუფი“-ს დამფუძნებლის გიორგი რამიშვილის განცხადებით, დაგეგმილი ტერმინალის აშენება საცხოვრებელ ტერიტორიასთან საზიანოა. იგი ჯანმრთელობისთვის საგანგაშოდ საზიანოა, რის გამოც ან ბახტაძის ახლო მეგობრისა და მისი კომპანიის ინტერესები უნდა გატარდეს, ან საქართველოში მაღალბიუჯეტიანი კომპანიის ერთ-ერთი მფლობელის (გიორგი რამიშვილი) მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. „სილქ როუდ ჯგუფის“ პარტნიორი, მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „თანაინვესტირების ფონდია“.

რომელი მხარე გაიმარჯვეს და ვის უფრო დამაჯერებელი არგუმენტები ექნება, ან ხომ არ გახდება ბათუმის ნავსადგური თავად მამუკა ბახტაძისა და ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირების მიზეზი, როგორც თავის დროზე ეს კვირიკაშვილისა და ქუმსიშვილის შემთხვევაში მოხდა ანაკლიის პორტთან მიმართებაში, ეს ყველაფერი ჯერჯერობით უცნობია. მანამდე კი დარგის სპეციალისტების შეფასებები ასეთია:

– საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე პირდაპირ ლობირებს თავისი მეგობრის, Wondernet Express-ს დამფუძნებელის დიმიტრი აბდუშელიშვილის პროექტს ბათუმის ნავსადგურში. თავად ესწრებოდა მარტის თვეში ამ პროექტის პრეზენტაციას. უბრალოდ, როდესაც პრემიერი გახდა, ცოტა ხანი თემა დახურეს და ახლა, როცა ვრცელდება ინფორმაცია (მათ შორის ხელისუფლების წრეებშიც), ბახტაძის პრემიერობიდან გადადგომის შესახებ, იგი თავისი ახლო წრის საქმეების მოგვარების დაჩქარებას ცდილობს. ამიტომაც განახლდა ეს თემა თავიდან. მთელი სქემა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ ლობირებენ მაღალჩინოსნები თავიანთი ახლობლების ბიზნესებს მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმიანობა რამდენად დიდი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს მოსახლეობისთვის, – განმარტავს hub Georgia“-ს დამფუძნებელი ურუშაძე.

ბათუმის ნავსადგურის პროექტი რომ ზიანის მომტანია მოსახლეობისთვის, ამას ურუშაძე კონკრეტული არგუმენტებით ამყარებს. მისი თქმით, ახალი ტერმინალი, რომლის მიზანიცაა ბათუმის პორტში ლოგისტიკური შესაძლებლობების გაზრდა, ქალაქში მცხოვრები მოსახლეობისთვის მომწამვლელი და საშიშია.

– კარბამიდის უსაფრთხოების წიგნაკში (MSDS) ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ ტვირთთან მუშაობა აუცილებელია სპეციალური დამცავი საშუალებებით. განსაკუთრებით რესპირატორით, რადგან კარბამიდის მტვრის შესუნთქვა ჯანმრთელობისთვის საშიშია. ცნობილია ისიც, რომ რაც არ უნდა დაცული და დახურული შეიძლება იყოს შენახვის პირობები, ბათუმის პორტის საწყობიდან – გემის ტრიუმებში გადატვირთვისას, ქალაქში გავრცელდება მტვერი, რადგან პორტი ქალაქის ცენტრში მდებარეობს. აღნიშნული მტვერი ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომწამვლელი ან მომაკვდინებელი შეიძლება გახდეს. ესე იგი, ზოგადად ქვეყნის ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება კარგია, მაგრამ ეს დაუშვებელია ჩვენი ჯანმრთელობის ფასად. მით უმეტეს, მძიმე სურათს მივიღებთ თუ იქვე ახლოს „სილქ როუდ ჯგუფი“ განახორციელებს თავის პროექტს, – აღნიშნავს ურუშაძე.

რაც შეეხება თავად კომპანია „სილქ როუდ ჯგუფი“-ს პოზიციას, როგორც პროექტის პრეზენტაციაზე თავად კომპანიის დამფუძნებელმა და სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა, გიორგი რამიშვილმა ისაუბრა, კომპანიის გეგმებშია ბათუმის სანაპიროს მოადგეს „იახტები მდიდარი ტურისტებით“. იქვე ახლოს პორტის ტერმინალის არსებობა კი, რომელიც ქიმიური სასუქების გადაზიდვისთვის იქნება განკუთვნილი, კომპანიის მიზნებისთვის ხელსაყრელი არ არის.

– ეს პროექტი არის იმ პროექტის მოწინააღმდეგე და მტერი. როგორც ბიზნესი, ის ბიზნესი და ეს ბიზნესი არის შეუთავსებელი ერთმანეთთან, ამაზეა საუბარი. ამ პროექტის განვითარება არის საწინდარი, რომ ისეთი პროექტები ვეღარ განვითარდება. აბსოლუტურად კონფლიქტში შედის ერთმანეთთან ასეთი განვითარება. ამ პროექტში მოძრაობს დაახლოებით ხუთი მილიონის ტონა ტვირთი, წლის განმავლობაში. რამდენი უნდა მოიგოს ამ ტვირთმა? – მერე კიდევ ასობით წელია იღვრება ნავთობი (სანაპიროზე). სულ სხვა ერაა, სულ სხვა ტექნოლოგიებია, იმხელა გაწმენდითი სამუშაოებია ჩასატარებელი, – განაცხადა გიორგი რამიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ მსხვილი ტვირთების გადატანის მიმართულებით უნდა განავითაროს ფოთისა და ყულევის ტერმინალები, ბათუმი და ანაკლია კი ტურისტული თვალსაზრისით უნდა განვითარდეს. პარალელურად, მედიაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბათუმში ნავსადგურში დაგეგმილი ტერმინალი მთლიანად მოწამლავს გარემოს. ამასთან დაკავშირებით ბათუმში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ჯგუფმა საპროტესო აქციაც კი გამართა. თუმცა თავად ლოჯისტიკური კომპანია „Wondernet Exspress“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალი ტერმინალი არ მოემსახურება ჯანმრთელობისთვის საშიში ქიმიური ნივთიერებების გადაზიდვას და ის მხოლოდ ორგანული მინერალური სასუქის გადაზიდვას გულისხმობს.

„კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურსაც დაუკავშირდა. კითხვაზე, წარადგინა თუ არა შესაბამისი პროექტი საერთაშორისო ლოჯისტიკური კომპანია „Wondernet Exspress“-მა უწყებაში და დაუმტკიცდა თუ არა მას მშენებლობის ნებართვა, როგორც არქიტექტურის სამსახურში განგვიცხადეს, არანაირი დოკუმენტი აქამდე უწყებაში არ შესულა. შესაბამისად, მათთვის უცნობია, რა პროექტი ხორციელდება ბათუმის ნავსადგურში.

რომელი ბიზნესი დაიწყებს ოპერირებას ბათუმის პორტსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს სავარაუდოდ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

მანამდე, შეგახსენებთ, რომ ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე ახალი ტერმინალის აშენებას გეგმავს კომპანია Wondernet Exspress-ი (20 მილიონი დოლარის ინვესტირებით) „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“, საქართველოს რკინიგზისა და საქართველოს მთავრობის მონაწილეობით. Wondernet Exspress-ის 100-პროცენტიან წილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვონდერნეტ ექსპრეს ბ.ვ.“ ფლობს, რომელიც ნიდერლანდებშია რეგისტრირებული. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბიზნესმენი დიმიტრი აბდუშელიშვილია.

ჩვენ შევეცადეთ დამატებითი ინფორმაცია მოგვეპოვებინა თავად „Wondernet Exspress“-ის სხვა საქმიანობის შესახებ, თუმცა, როგორც ირკვევა, ამ დრომდე კომპანიას ჯერ არც ერთი პროექტი არ განუხორციელებია. აღნიშნულს ვასილ ურუშაძეც ადასტურებს.

ქობულია: „შეიძლება ხალხს აქვს განცდა, რომ უარესად ცხოვრობს, მაგრამ ეს ასე არ არის“

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის გიორგი ქობულიას თქმით, ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე ყოველთვიურად უმჯობესდება.

როგორც მან განაცხადა, ქვეყანას ყოველწლიურად ეკონომიკური ზრდა აქვს.

– მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის კურსი შეიცვალა, ჩვენთან ინფლაცია არის არაუმეტეს 2%-2.5%. კი, რაღაცა პროდუქტებზე ფასი გაიზარდა, რაღაცა პროდუქტებზე ფასი დაეცა, მაგრამ ჩვენ რომ ვნახოთ სამომხმარებლო კალათა, პრაქტიკულად, 2%-მდე არის ინფლაცია. ამიტომ, დიახ, რაღაც წამლებზე ფასი გაიზარდა, ამაზე ჩვენ სუბსიდირებას ვაკეთებთ, როგორც იცით, მაგრამ პრინციპში, ჩვენ რომ ვნახოთ ფაქტები და არა რაღაც განსაზღვრული ნაწილის განცდა, შეიძლება განცდა აქვს ხალხს, რომ, რა თქმა უნდა, უჭირთ და ამიტომ, ზოგს ჰგონია, რომ შეიძლება უარესად ცხოვრობს, მაგრამ რომ ვნახოთ ფაქტები, ეს ასე არ არის. ფაქტები უჩვენებს იმაზე, რომ ინფლაცია იყო 2%-2.5% და სამომხმარებლო კალათა იმდენად არ იზრდება ფასში, ამიტომ, რომ ვთქვათ, რომ ჩვენ უარესად ვცხოვრობთ, ეს არ არის ესე, – განაცხადა გიორგი ქობულია TV პირველის ეთერში.

კახა კალაძე: „თბილისში 8 ახალი მეტროსადგურის მშენებლობაზე 80 მილიონი დაიხარჯება“

თბილისში დაახლოებით რვა ახალი მეტროსადგური აშენდება, ასევე შესაძლებელი იქნება მგზავრებს სამგორიდან აეროპორტის მიმართულებით მიწისზედა მეტრო მოემსახუროს. დაახლოებით, 80 მილიონი დაიხარჯება ამ პროექტში, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისში დაგეგმილი მიწისზედა მეტროს პროექტზე საუბრისას განაცხადა.

ასევე, კალაძემ პრემიერის მიერ მთავრობის წლიური ანგარიშის წარდგენაც შეაფასა და აღნიშნა, რომ ყველა პროექტი, რომელიც 2018 წელს განხორციელდა, მნიშვნელოვანია.

– ძალიან მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რაც ამ წლის განმავლობაში გაკეთდა სხვადასხვა მიმართულებით. არ დარჩენილა დარგი, რომელსაც პრემიერი არ შეხებია. ცხადია, ამით თვითკმაყოფილი არავინ არის, ქვეყანაში არის ბევრი გამოწვევა, პრობლემა, რომელსაც სჭირდება ღირსეული პასუხები. მან ასევე ისაუბრა განათლების მიმართულებით რეფორმაზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, პრემიერმა ისაუბრა ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე, რომელიც მომავალში განხორციელდება და ერთ-ერთი ასეთი არის ახალი მიწისზედა მეტროს გაკეთება დედაქალაქში სამგორიდან ლილოს მიმართულებით. დაახლოებით რვა ახალი მეტროსადგური აშენდება ამ პროექტის ფარგლებში და ასევე შესაძლებელი იქნება სამგორიდან აეროპორტის მიმართულებით მოემსახუროს მიწისზედა მეტრო მგზავრებს. დაახლოებით, 80 მილიონი დაიხარჯება ამ პროექტში. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი და წლის ბოლოსთვის გვექნება ზუსტი ინფორმაცია პროექტის სახით და დავიწყებთ მის განხორციელებას, – აღნიშნა კალაძემ.

„სიცრუეა, თითქოს ევროკავშირის საზღვარზე თხილში აფლატოქსინის აღმოჩენა არ კონტროლდება“

ec.europa.eu-ზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ 2018 წელს ევროკავშირმა ქართული თხილის 7 პარტია „დაბლოკა“, მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

– გვსურს კომენტარი გავაკეთოთ იმ უზუსტობებსა და სიცრუეზე, რომლებსაც შეიცავდა 19 დეკემბერს რუსთავი 2-ის ეთერში გასული სიუჟეტი ქართული თხილის თაობაზე.

პირველ რიგში, გვინდა განგიმარტოთ, რომ დადგენილ ზღვარზე მეტი აფლატოქსინის მაჩვენებლის აღმოჩენა ევროკავშირის საზღვარზე ნორმალური მოვლენაა და არ ეხება მხოლოდ ქართულ თხილს. აფლატოქსინის აღმოჩენის ბევრად მეტი შემთხვევა ფიქსირდება თურქული და აზერბაიჯანული წარმოშობის თხილებში.

2018 წლის მანძილზე საქართველოდან ევროპაში გასული ასობით პარტიიდან თხილში აფლატოქსინი აღმოჩნდა მხოლოდ 6 შემთხვევაში.

ევროკავშირის საზღვარზე აფლატოქსინის აღმოჩენის შემთხვევაში თხილი ბრუნდება უკან საქართველოში. საზღვარზე თხილს ხვდება სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, ამოწმებს ტვირთს, ლუქავს მას და აცილებს დაცულ საწყობამდე, სადაც ასევე ხდება მისი დალუქვა.

დალუქული თხილი კვლავ მოწმდება აფლატოქსინის შემცველობაზე. აფლატოქსინის შემცველობის დადასტურების შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ ხდება მისი გადარჩევა და გასუფთავება საეჭვო თხილის გულისაგან, რადგან მასაში უმნიშვნელო რაოდენობის დაავადებულ გულს შეუძლია იმოქმედოს მთლიან ანალიზის შედეგებზე. გადარჩევის შემდეგ, პროდუქცია განმეორებით მოწმდება ევროპულ ლაბორატორიებში. თუ აფლატოქსინი აღარ აღმოჩნდა, მეწარმეს ეძლევა უფლება განმეორებით მოახდინოს თხილის ექსპორტი. გამორჩეული წუნდებული თხილი კი ექვემდებარება განადგურებას.

გვინდა ცალსახად აღვნიშნოთ, რომ არც ერთი კილოგრამი დაავადებული თხილი არ ხვდება ქართულ ბაზარზე და არც ერთ შემთხვევაში არ არის მისი გამოყენება მწარმოებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

რაც შეეხება ბატონ დავით ჯორბენაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ორი თვეა სახელმწიფო თხილს საქართველოდან გატანის წინ ადგილობრივ ლაბორატორიებში აღარ ამოწმებს. აღნიშნული სწორედაც პირიქითაა, სექტემბრის თვიდან დაიწყო სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საექსპორტო თხილის აფლატოქსინზე კვლევა, იქამდე სახელმწიფოს მიერ ლაბორატორიებში მოწმდებოდა მხოლოდ დაჭრილი და დაფქვილი პროდუქცია და ისინიც მხოლოდ მიწის თხილის შემცველობაზე.

ამ ცვლილებების ამოქმედებამდეც მეწარმეთა უმრავლესობა საკუთარ პროდუქციას წარმოების პროცესში, მის ექსპორტამდე თავად ამოწმებდა და დღესაც ამოწმებს აფლატოქსინის შემცველობაზე იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს პროდუქციის უკან დაბრუნების რისკი, რაც თავის მხრივ ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სექტემბრის თვიდან ასევე ამოქმედდა

ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გადამამუშავებელ საწარმოებს ევალებათ, დანერგილი ჰქონდეთ სულ ცოტა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა იმისთვის, რომ მიეცეთ უფლება პროდუქცია გაიტანონ ექსპორტზე.

თხილის გადამამუშავებელი კომპანიების შემთხვევაში HACCP-ის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია აფლატოქსინის გავრცელების კონტროლი გადამუშავების ყველა ეტაპზე, რაც ასევე გულისხმობს საბოლოო პროდუქციაზე ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას.

შესაბამისად, სიცრუეა საკითხის ისე წარმოჩენა, თითქოს ევროკავშირის საზღვარზე აფლატოქსინის აღმოჩენის მიზეზი არის ის, რომ აღარ ხდება მისი კონტროლი. როგორც მოგახსენეთ, საკითხი პირიქითაა, იმის გარდა, რომ სახელმწიფომ სექტემბრიდან დაიწყო საექსპორტო თხილის შერჩევითი კვლევა აფლატოქსინზე, მეწარმეები თავადაც ვალდებულნი არიან და მათი ინტერესიცაა, რომ გამორიცხონ აფლატოქსინის შემცველი პროდუქციის ექსპორტი და თავიდან აირიდონ პროდუქციის მობრუნების რისკი.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, თავი შეიკავოთ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან.

გურამ დონაძე სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებიდან განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე, რომელიც სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში იმყოფება, განცხადებას ავრცელებს და მის მიმართ გამოტანილ განაჩენს აფასებს.

– 2018 წლის 18 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე – დავით მგელიაშვილმა, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი გამოიტანა. მგელიაშვილმა პირადი ინტერესები კანონზე მაღლა დააყენა და ყოველგვარი მტკიცებულებების შეფასების გარეშე, პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა. ამით კი, მისი, როგორც მოსამართლის, უვადოდ გამწესების გარანტია მიიღო. ე.წ. კრიმინალმა ზაზა ბაქრაძემ კი, პროკურატურასთან წინასწარ შეთანხმებული გეგმა-გარიგების თანახმად, ცრუ ჩვენების საფუძველზე, თავისუფლება მოიპოვა და სრულიად უდანაშაულო ადამიანები – ჟურნალისტი და პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები პოლიტიკურ პატიმრებად აქცია, – აცხადებს გურამ დონაძე.

აღნიშნული განცხადება მსჯავრდებულმა ადვოკატის მეშვეობით გაავრცელა.

თელავში ქალს და მის 2 შვილს ავტომობილი დაეჯახა – დაშავებულთა მდგომარეობა კრიტიკულია



თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მსუბუქი ავტომობილი დედას და მის ორ შვილს დაეჯახა.

დაშავებულები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში არიან მოთავსებული, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

ქალბატონი მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ბატების საქმეზე გამოძიება ორი მუხლით დაიწყო

16 დეკემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ყულარში ადგილობრივ მკვიდრს ბატები მოპარეს. ინფორმაციას ამის შესახებ მარნეულიფმ.გე ავრცელებს.

ბატების მეპატრონემ ქურდობის ფაქტი მალევე შეამჩნია და იმ 2 პირს დაედევნა, რომლებმაც ბატები გასტაცეს.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირები მეპატრონის მოთხოვნას, რომ გაჩერებულიყვნენ, არ დაემორჩილნენ, ბატების პატრონმა მათი მისამართით საფანტის იარაღიდან ცეცხლი გახსნა. გამტაცებლიდან ერთ-ერთი დაიჭრა. ადგილზე გამოძახებული იყო სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიცია.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ორი მუხლით მიმდინარეობს – 117-ე, რაც ქურდობას გულისხმობს, ხოლო, 122-ე ჯანმრთელობის დაზიანება აუცილებელი მოგერიების გადამეტებისას.

დავით კირკიტაძეს პატიმრობა შეეფარდა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, დავით კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ, დავით ნარიმანიშვილმა გამოაცხადა.

დავით კირკიტაძე ველისციხეში 16 დეკემბერს მომხდარი დაპირისპირების დროს, პოლიციელზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, მოსამართლის განჩინებით დააკავეს. ის ბრალს არ აღიარებს და შიმშილობს.

❖ ❖ ❖

– გავაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას, – ამის შესახებ დავით კირკიტაძეს ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, კირკიტაძისთვის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით საუბრისას.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, სამართლებრივ ბრძოლას გავაგრძელებთ. დაველოდებით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. რით დაასაბუთებს მოსამართლე, რომ დავით კირკიტაძე მიმალვას აპირებდა, რით დაასაბუთებს, რომ შესაძლოა, დავით კირკიტაძემ მოწმეებზე ზემოქმედება მოახდინოს, მაშინ როდესაც პოლიციელთა ჩვენებებია და ყველაფერი ფირზე არის აღბეჭდილი, – განაცხადა კონდახიშვილმა.

ველისციხეში მომხდარ ინციდენტში მონაწილე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ვალერი მუსაევს ბრალი ოფიციალურად წარედგინა

16 დეკემბერს ველისციხეში მომხდარ ინციდენტში მონაწილე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ვალერი მუსაევს ბრალი ოფიციალურად წარედგინა. მუსაევი მეორე დღეა ყვარლის წინასწარი მოთავსების იზოლატორში იმყოფება, სადაც გამომძიებელმა ბრალი ცოტა ხნის წინ გააცნო. მას გამოძიება დავით კირკიტაძის მსგავსად ძალადობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავება.

დაკავებულის ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს გამოძიებამ იგივე ბრალდება წაუყენა, რაც დავით კირკიტაძეს. ვალერი მუსაევი ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ მას ავტობუსი არ დაუზიანებია. შეუძლებელი იყო ორ კაცს ერთდროულად მოეხდინა პოლიციელზე ძალადობა, – განაცხადა ადვოკატმა ბაადურ გულიაშვილმა.

პროკურატურამ რელიგიური ნიშნით დევნისთვის ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ძალადობით ჩადენილი რელიგიური ნიშნით დევნისთვის გ.მ.-ს ბრალდება წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაცხვში გ.მ.-სთან რ.კ. მის თანამოაზრე – გ.ფ.-სთან ერთად რელიგიური მოძღვრების და ლიტერატურის გავრცელების მიზნით მივიდა. რელიგიურ თემაზე საუბრისას, გ.მ.-ს კითხვაზე, თუ საიდან იყვნენ ისინი, მათ უპასუხეს, რომ წარმოადგენდნენ იეჰოვას მოწმეებს, რამაც გ.მ.-ს გაღიზიანება გამოიწვია და რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რა დროსაც რ.კ.-ს სახის არეში ხელი დაარტყა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

წელს საქართველოში 4 ე.წ. კანონიერი ქურდი და „ქურდული სამყაროს“ 52 წევრი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით 2018 წელს მიღწეული შედეგები შეაჯამა და ამ მიმართულების გაძლიერებისთვის ევროკავშირის დაფინანსებულ ახალ პროექტში ჩაერთო.

ევროკავშირი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერას იწყებს. ახალი პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნათია მეზვრიშვილმა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრეზენტაციაზე 2018 წელს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და მიღწეული შედეგები წარმოადგინა.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა:

„ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“

„ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“

„ქურდული სამყაროს წევრისთვის ან კანონიერი ქურდისთვის მიმართვა“

2018 წელს დაკავებული იქნა 4 ე.წ. კანონიერი ქურდი და „ქურდული სამყაროს“ 52 წევრი, რაც, სტატისტიკური მაჩვენებლით, წინა წლის მონაცემზე 477%-ით მეტია. დაკავებულთაგან 19 პირს ბრალი ახალი მუხლებით წარედგინა.

ტრეფიკინგის ბრალდებით, 2018 წელს დაკავებულია 42 პირი, 66%-ით მეტი, წინა წელთან შედარებით.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს მტკიცე ძალისხმევა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო წელს ერთადერთია, რომელმაც პირველ კალათაში ადგილი შეინარჩუნა.

კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წელს 40 კიბერდამნაშავე დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის პასუხისგებაში მიცემულია 117 პირი, ეს ციფრი 2-ჯერ მეტია, წინა წელთან შედარებით. მათ შორის ნარკოტიკებით ონლაინ ვაჭრობის ფაქტზე დაკავებულია 7 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მხრივ 2018 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ფრანგ, ბერძენ, ესპანელ და პოლონელ კოლეგებთან ერთად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 19 ერთობლივი ოპერაცია ჩატარდა, რომელთა შედეგადაც მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დაკავებულ იქნა საქართველოს 137 მოქალაქე, მათ შორის 13 ე.წ. კანონიერი ქურდი.

ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობა – ბრალდებულებს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფურად ჩადენილ დიდი ოდენობით თაღლითობაში ბრალდებულებს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე ბრალდებული ცოლ-ქმარი თ.ა და ი.რ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ თ.ა.-მ და ი.რ.-მ წინასწარი განზრახვით, თაღლითობის მიზნით, ე.ხ.-ს, რომელსაც ბინის დაგირავება სურდა, მოტყუებით აჩვენეს მისთვის სასურველი ბინა და დაჰპირდნენ, რომ 17000 აშშ დოლარად 2 წლით იპოთეკით დაუტვირთავდნენ. მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა თანხა გადასცა, თ.ა.-მ და ი.რ.-მ იპოთეკით სულ სხვა, საცხოვრებლად უვარგისი ბინა დატვირთეს, რომლის საბაზრო ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო ე.ხ.-ს მიერ მათთვის გადაცემულ თანხაზე.

თ.ა.-ს და ი.რ.-ს 2018 წლის 12 მარტს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.ა და ი.რ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და ორივეს სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პეკინის გამზირზე „სილქნეტის“ ოფისი გატეხეს

წაღებულია მობილური ტელეფონები

თბილისში, პეკინის გამზირზე „სილქნეტის“ ოფისი გატეხეს.

არსებული ინფორმაციით, წაღებულია მობილური ტელეფონები.

ადგილზე საპატრულო პოლიცია მობილიზებული.

ვაზისუბანში „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალი დააყაჩაღეს

დაშავებულია დაცვის თანამშრომელი

თბილისში, ვაზისუბანში მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალი დააყაჩაღეს. შემთხვევა რამდენიმე წუთის წინ მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველები უყვებიან, ფილიალს ოთხი პირი დაესხა თავს. მათივე ინფორმაციით, დაშავებულია დაცვის თანამშრომელი.

აშშ-ს სირიიდან ჯარი გაჰყავს

თურქეთი ამერიკულ რაკეტებს შეიძენს

პრეზიდენტმა ტრამპმა სირიიდან ჯარის გაყვანის ბრძანება გასცა.

მან ტვიტერში დაწერა, რომ აშშ-მ სირიაში მიზანს მიაღწია და ისლამური სახელმწიფო გაანადგურა. შესაბამისად, სირიაში ამერიკული ჯარის დარჩენასაც აზრი არ აქვს.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შეფასებას, რომ ისლამური სახელმწიფო დამარცხებულია სირიაში.

– რაც შეეხება ისლამური სახელმწიფოს დამარცხებას, მთლიანობაში ვეთანხმები აშშ-ის პრეზიდენტს. ჩვენ მნიშვნელოვან ცვლილებებს მივაღწიეთ სირიაში ტერორიზმთან ბრძოლაში და სერიოზული დარტყმები მივაყენეთ ისლამურ სახელმწიფოს სირიაში, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მან ამავდროულად აღნიშნა, რომ არსებობს იმის საფრთხე, რომ მოხდება ტერორისტული აქტიურობის სირიიდან სხვა ქვეყნებში გადაადგილება.

სირიაში 2.000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება. მათი გაყვანა ამერიკის პოლიტიკის მკვეთრ შემობრუნებას მოასწავებს. ქურთული ფორმირებები, რომლებიც ადრე ვაშინგტონის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, ახლა თურქეთის არმიის პირისპირ რჩებიან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოიწონა პენტაგონის წინადადება თურქეთისთვის პეტრიოტის ტიპის რაკეტების მიყიდვის თაობაზე. თურქებს 3,5 მილიარდი დოლარის რაკეტებს მიჰყიდიან.

ამის თაობაზე მოლაპარაკებები ადრეც წარმოებდა. ამ მხრივ წარმოიქმნა პრობლემები. თურქებმაც ჯერ ჩინური, შემდეგ რუსული რაკეტების ყიდვა გადაწყვიტეს. ამერიკელები პასუხად სანქციებით დაემუქრნენ.

ახლა ბატალიები დასრულდა. თურქეთი ამერიკულ რაკეტებს შეიძენს.

გრძელდება ბატალიები თურქი მქადაგებლის, ფეთჰულა გიულენის გარშემო, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს. თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება მას პუტჩის ორგანიზებაში სდებს ბრალს და მის ექსტრადიციას მოითხოვს. უკანასკნელ ხანს დაირხა ხმები, რომ ტრამპი მზადაა, ერდოღანის მოთხოვნა დაკმაყოფილოს.

თეთრმა სახლმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა:

– პრეზიდენტი გიულენის ექსტრადიციის მხოლოდ შესაძლებლობას განიხილავს.

2019 წელს სომხეთი განაგრძობს ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობას

2019 წელს სომხეთი განაგრძობს ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობას.

ამის შესახებ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანა ნაგდალიანმა განაცხადა.

– სომხეთის კონტინგენტი, რომლის შემადგენლობაში 130 სამხედრო შედის, 2019 წელს განაგრძობს მონაწილეობის მიღებას „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში“, – განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისია 2015 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და 15.995 სამხედრო მოსამსახურეს ითვლის. ნატო-ს წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტი – 8.475 სამხედრო მოსამსახურე ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს ავღანეთში გაგზავნილი. აშშ-ს მოჰყვება გერმანია 1.300 ჯარისკაცით და მესამე ადგილზეა იტალია – ავღანეთში 895 იტალიელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

აშშ-ის ელჩმა გერმანიას მოუწოდა, შეწყვიტოს „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მხარდაჭერა

გერმანიაში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ გრენელმა გერმანიის მთავრობას მოუწოდა, შეწყვიტოს გაზსადენი „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მხარდაჭერა.

გაზეთ „როინიშე პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გერმანიაში აშშ-ის ელჩი წერს, რომ აღნიშნული პროექტი „რუსეთის მთავრობის უცერემონიო მცდელობას წარმოადგენს, გააძლიეროს ევროპული ქვეყნების გაგუდვა ენერგომომარაგების ჭრილში“.

მისივე თქმით, ამავდროულად რუსეთი „განაგრძობს თავის კამპანიას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შერყევის კუთხით“.

რიჩარდ გრენელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ გააძლიერებს რუსეთის გავლენას ევროპაზე და მოსკოვი გაზსადენიდან მიღებულ მილიარდებს დესტაბილიზაციის გამომწვევ საგარეო პოლიტიკას მოახმარს.

შეგახსენებთ, რომ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ არსებული მაგისტრალური გაზსადენის „ჩრდილოეთ ნაკადის“ გაფართოების პროექტს წარმოადგენს, რომელიც რუსეთსა და გერმანიას სატრანზიტო ქვეყნების – უკრაინის, ბელარუსისა და პოლონეთის გვერდის ავლით დააკავშირებს. გაზსადენის საერთო გამტარუნარიანობა წელიწადში 55 მლრდ კბ/მ-ს შეადგენს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჩინეთის ქალაქში შობის დღესასწაული აკრძალეს

ჩინეთის ქალაქ ლანფანის ხელისუფლებამ შობის დღესასწაულის სახალხოდ აღნიშვნა აკრძალა.

აკრძალვა შეეხო საშობაო სამკაულებს და დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ქალაქის ხელისუფლების დადგენილებაში ნათქვამია, რომ მაღაზიებმა არ უნდა გამართონ საშობაო წარმოდგენები და სარეკლამო აქციები.

საშობაო ნაძვის ხეების, ცოცხების, წინდების ან სანტა-კლაუსის ფიგურების გამყიდველები დაისჯებიან. ქალაქის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დააზუსტა, რომ აკრძალვა ეხება არა სადღესასწაულო საქონელს, არამედ ქუჩაში მის გაყიდვას და ის არა მხოლოდ შობის დღესასწაულის დროს იქნება ძალაში.

გარდა ამისა ხელისუფლებამ საზოგადოებას მოუწოდა, აცნობონ პარკებსა და სკვერებში „რელიგიის პროპაგანდის ფაქტების შესახებ“. კერძოდ რომელი რელიგია იგულისხმება, არ სახელდება.

აღსანიშნავია, რომ კათოლიკური შობა ჩინეთში დღესასწაულს არ წარმოადგენს, თუმცა სადღესასწაულო ატრიბუტიკა მრავალ ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქუთაისი და თსუ წყვილად ლიდერობენ

ქუთაისი-ჯაჯუსი 93:84

(27:16, 26:17, 24:23, 16:28)

ჩემპიონატის ლიდერისა და აუტსაიდერის მატჩი ისე დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო – რიონისპირელებმა იოლად იმარჯვეს – 93:84.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა საქმე პირველივე ტაიმში მოილია. პირველი 10-წუთეული ქუთაისმა 11 ქულით მოიგო, შემდეგ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და დიდ შესვენებას 20-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდა.

შესვენების შემდეგ ქუთაისმა კიდევ ქულით გაზარდა უპირატესობა და ბოლო მეოთხედი ფორმალობად აქცია, რომელიც კაკტუსმა 12 ქულით კი მოიგო, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

მასპინძლებს დეჟან რაითმა 21 ქულით ულიდერა, ჯონათან ლიმ 18 ქულას მოუყარა თავი, ხოლო აკაკი დვალიშვილი მატჩში ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი შეიქნა – 11 ქულა, 10 მოხსნა. არადა, მატჩის საუკეთესო შედეგი კაკტუსელმა ბრაიან გლასფორდმა დაფიქსირა – 23 ქულა, მაგრამ მისი ნიკოლას ნილისა (18 ქულა) და გიორგი ტურძილაძის (16 ქულა) გარჯა ამაოდ გამოდგა.

თსუ-ჰიუნდაი – ბათუმი 83:70

(20:14, 16:25, 20:15, 27:16)

ერთმანეთს განსხვავებული შედეგების მქონე გუნდები – თსუ-ჰიუნდაი და ბათუმი შეხვდნენ. აჭარულ კლუბს ბოლო 3 მატჩი წაგებული ჰქონდა, თსუ-ჰიუნდაელებს კი ზედიზედ 4 შეხვედრა მოგებული. ტრადიცია გაგრძელდა – ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა თბილისურმა გუნდმა გია კაზანჯიანის ბათუმს 83:70 სძლია.

ზღვისპირელები იოლად არ დანებებულან. ბათუმმა საკმაოდ კარგად ჩაატარა პირველი ნახევარი, რომლის შემდეგაც 39:36 იგებდა. ნოდარ გოგოძისა და ელჯეი ბუსის სამქულიანებით სტუმრებმა მეორე პერიოდი 25:16 მოიგეს და საწყისი მეოთხედის შემდეგ ჩამორჩენა ლიდერობად აქციეს.

მე-3 ათწუთეულში თსუ-ჰიუნდაელებმა დაცვის ხარჯზე თამაში გამოასწორეს. პერიმეტრი გადაკეტეს, რითაც მეტოქეს შორი სროლების შესრულება შეუზღუდეს, თავად კი სწრაფი შეტევებითა და საჯარიმოში, პოზიციური თამაშით მატჩის სადავეებს დაეპატრონნენ. მესამე მეოთხედი ჰიუნდაელებმა 20:15 მოიგეს, ბოლო პერიოდის წინ ლიდერობა დაიბრუნეს და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

გამარჯვებულებს 19 ქულით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. ჩარლზ მილიკენის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა, ხოლო ნიკა მეტრეველმა თსუ-ჰიუნდაელებს 14 ქულა მიაშველა. ბათუმში 24 ქულით საუკეთესო იყო ელჯეი ბუსი, ნოდარ გოგოძის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა.

მგზავრები – ჩუსთავი 72:75

(18:14, 19:28, 25:14, 10:19)

ტური გამორჩეული გამოდგა ქვემოქართლელებისთვის – რუსთავმა მიმდინარე სუპერლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმა. რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში – 75:72 დაამარცხეს მიმდინარე გათამაშებაში 3 მოგების მქონე მგზავრები.

შეხვედრის ბედი მატჩის ბოლო წუთებზე გაირკვა, მანამდე კი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მგზავრები იგებდა. მატჩი პერიოდების მიხედვით გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი მეოთხედი მასპინძლებმა მოიგეს, მეორე – რუსთაველებმა, შემდეგ ისევ მგზავრების ჯერი დადგა, რომლებმაც მესამე პერიოდში 25:14 იმარჯვეს და ბოლო ათწუთეულის წინ 62:56 დაწინაურდნენ.

ბოლო მეოთხედში რუსთაველებმა მეტი ბრძოლისუნარიანობა და სიზუსტე გამოავლინეს. გამოსარჩევია ქვემოქართლელთა ახალი ლეგიონერების – დარილ ბრაიანტის, აჰმედ ჰამდისა და კენდარიუს ჰამილტონის შედეგიანი თამაში, რომლებმაც დასკვნით წუთებზე გასამარჯვებლად საკმარისი ქულები მიუთვალეს რუსთავს.

ქვემოქართლელებს 21 ქულით ბრაიანტმა ულიდერა. 16 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა ჰამდიმ, ხოლო ჰამილტონისა და ისააკ ბენქსის ანგარიშზე 15-15 ქულა დაგროვდა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.ქუთაისი	6	5	1505:469	11
2.თსუ-ჰიუნდაი	6	5	1495:452	11
3.მგზავრები	6	3	3462:452	9
4.ოლიმპი	5	3	2406:370	8
5.დელტა	5	3	2392:356	8
6.ბათუმი	6	2	4466:512	8
7.დინამო	5	3	2361:351	8
8.ტიტები	5	2	3387:403	7
9.რუსთავი	6	1	5449:498	7
10.კაკტუსი	6	1	5456:516	7

შედეგები

19 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

არსენალი-ტოტენჰემი 0:2
ჩელსი-ბორნმუთი 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

შალკე-ლევერკუზენი 1:2
ბაიერნი-ლაიპციგი 1:0
ვერდერი-ჰოფენჰაიმი 1:1
მაინცი-აინტრახტი 2:2
ფრაიბურგი-ჰანოვერი 1:1

სატუჩნიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	16	12	3	1	42-17	39
2.გლადბახი	16	10	3	3	35-16	33
3.ბაიერნი	16	10	3	3	33-18	33
4.ლაიპციგი	16	8	4	4	28-15	28
5.აინტრახტი	16	8	3	5	34-20	27
6.ვოლფსბურგი	16	7	4	5	24-20	25
7.ჰოფენჰაიმი	16	6	6	4	31-22	24
8.ჰერტა	16	6	6	4	25-24	24
9.ვერდერი	16	6	4	6	26-26	22
12.ლევერკუზენი	16	6	3	7	23-28	21
11.მაინცი	16	5	5	6	16-21	20
12.ფრაიბურგი	16	4	6	6	20-25	18
13.აუგსბურგი	16	3	6	7	23-26	15
14.შალკე	16	4	3	9	17-23	15
15.ფორტუნა	16	4	3	9	18-33	15
16.შტუტგარტი	16	4	2	10	11-32	14
17.ნიურნბერგი	16	2	5	9	14-37	11
18.ჰანოვერი	16	2	5	9	18-35	11

საფრანგეთი. თასი

ამიენი-ლიონი 2:3
ლე ავრი-ნიმი 2:1
დიჟონი-ბორდო 0:1
მარსელი-სტრასბური ..... 1:1(2:4პ)
მონაკო-ლორიანი 1:0
ნიცა-გენგამი ..... 0:0(1:3პ)
რენი-ნანტი 2:1

შოტლანდია. ჩემპიონატი

სელტიკი-მოზერველი 3:0
ჰიბერნიანი-რეინჯერსი 0:0

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ნიკა ამაშუკელი 6 ერის მატჩს იმსაჯებს

ქართველი მსაჯების – შოთა თევზაძისა და ნიკა ამაშუკელის კარიერული წინსვლა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. 2019 წელს ორივე იმსაჯებს რაგბი ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე, ამაშუკელი კი გახდება პირველი ქართველი, რომელიც 6 ერის ჩაკეტილ კარს შეაღებს!

მსაჯი თამაშის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორც მოთამაშე და მსაჯების განვითარების გარეშე რაგბის განვითარებასა და წინსვლაზე საუბარიც არ შეიძლება. ამ მიმართულებას დიდი ყურადღება დაუთმო რაგბის კავშირმა, ახალგაზრდა ბიჭებმაც საკუთარი როლი კარგად გაითავისეს, დაუღალავი ვარჯიშების პარალელურად ინგლისურ ენას დაეუფლნენ და 3 წლის წინ მათთვის ევროპის კარი გაიხსნა – ყველაზე დაბალი, რაგბი ევროპის მესამე დივიზიონიდან, 2019 წლიდან კი ისინი ევროპული რაგბის მწვერვალზე აღმოჩნდებიან.

ქართულ რაგბს მხარში დაუდგა ირლანდიის რაგბის კავშირის სამსაჯო კომიტეტი, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდების განვითარებაზე იზრუნა და ნელ-ნელა ისინი საერთაშორისო რაგბს გაუშინაურდნენ, სხვადასხვა დონის ეტაპები სწრაფად გაიარეს და ტესტ-მატჩებშიც დამკვიდრდნენ.

ამაშუკელი ნოემბერში ინგლისში იმყოფებოდა, სადაც იაპონიისა და რუსეთის (იაპონიამ 32:27 იმარჯვა) ნაკრებების ტესტ-მატჩზე კიდის მსაჯი იყო და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო რეფერის, ჟერომ გარსეზის ასისტენტად იმუშავა:

ნიკა ამაშუკელი:

– ნოემბრის ტესტებზე მოხვედრა საკმაოდ რთულია, რადგან კონკურენცია ძალიან დიდია. ჩემთვის ეს პირველი ტესტ-მატჩი იყო და ჟერომ გარსეზისთან მომიწია მუშაობა, მსაჯთან, რომელიც ჩემი და ძალიან ბევრი სხვა სპეციალისტის მოსაზრებით, მსოფლიოს მსაჯთა მოწინავე სამეულში შედის და ძალიან დიდი შანსია, რომ მსოფლიო თასის ფინალიც იმსაჯოს. მასთან ერთად მუშაობა უდიდესი გამოცდილება იყო, მით უმეტეს, რომ ძალიან კარგი შეხვედრა გამოვიდა. მატჩის მსვლელობაში ოთხჯერ ჩავერთე და გარჩევაზე ითქვა, რომ ოთხივე ეს გადაწყვეტილება ზუსტი იყო. მოგვიანებით ჟერომმა მომწერა და მადლობა გადამიხადა, რადგან ზუსტად შევასრულე ის დავალება, რომელიც თამაშამდე მომცა. გარსეზისთან მომავალშიც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი. ის იყო მშვიდი მოედანზე და უპირატესობის წესს ძალიან კარგად განკარგავდა. მე მის ადგილას 3-4 ჯარიმით მეტს დავდებდი, ის კი თამაშს უწყობდა ხელს და გუნდებიც მიყვებოდნენ. პატარ-პატარა დეტალები ჩანდა, რატომაა ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი. შევეცდები, ეს დეტალები მეც გამოვიყენო და პრინციპში, უკვე გამოვიყენე კიდეც.

– ჯერ მხოლოდ სანაკრებო მატჩები იმსაჯე, საკლუბო დონეზეც გქონდა მსაჯობის უფლება, მაგრამ რანგით დაბალ ტურნირებზე.

– ვგრძნობ, რომ ჩელენჯ ქაფიც არაა შორს და ამისთვის ვემზადები. მსაჯების ხელმძღვანელმა ჟოელ ჟუშმა მითხრა, რომ ამისთვის დროა საჭირო, უნდა დავიმსახურო ნდობა, გამოვავლინო ყველა ის თვისება, რაც ამ დონის ტურნირისთვისაა საჭირო და ჩელენჯ ქაფის თამაშებსაც მანდობენ. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლოა მომავალ სეზონში მოხდეს. ჟუშთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და მან პირადად მითხრა, რომ სურს უმაღლეს დონეზე მიხილოს. მის სიტყვებს ძალიან მალე მოყვა მაღალი დონის დანიშვნები.

– თებერვალში შოთა თევზაძესთან ერთად ევროპის რანგით მეორე (6 ერის შემდეგ) ტურნირში, რაგბი ევროპის ჩემპიონატზე იმსაჯებთ. ქართველ მსაჯებს ამ დონის ტურნირზე მიწვევა აქამდე არასდროს მიულიათ.

– უდიდესი წარმატებაა, როდესაც კაცთა რაგბის ამ დონის ტურნირზე თამაშს განდობენ. გვქონდა საუბრები, რომ ამ დონეზე აუცილებლად ავიდოდით, მაგრამ არ ველოდით ასე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბორჯღალოსნების კალენდარი ცნობილია

საქართველოს ეროვნული ნაკრები თებერვლიდან რაგბი ევროპის მორიგ ჩემპიონატში ჩაერთვება, სადაც მილთონ ჰეიგის გაწვრთნილი გუნდის მეტოქეები რუმინეთის, რუსეთის, ესპანეთის, ბელგიისა და გერმანიის ნაკრებები იქნებიან.

როგორც იცით, ეს ტურნირი 2-წლიანია. 2019 წელს საქართველო 2 მატჩს ითამაშებს შინ, ხოლო 3-ჯერ მეტოქეებს ესტუმრება.

„ბორჯღალოსნები“ პირველივე ტურში მთავარ მეტოქესთან იბრძოლებენ – 9 თებერვალს რუმინეთის ნაკრებს ვსტუმრობთ. ბოლო წლებში რუმინეთის ნაკრები ჩვენი ყველაზე რეალური კონკურენტია, 2018 წელსაც მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ შემდეგ მოთამაშეების ნატურალიზაციაში გამოიჭირეს და ბოლო ადგილზე ჩამოაქვეითეს. სწორედ ამის გამო, რუმინელებს რაგბი ევროპის ელიტაში დასარჩენად გადათამაშებაში პორტუგალიის დამარცხება მოუწიათ – რუმინელებმა ნოემბერში 36:6 მოიგეს.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები თბილისში უმასპინძლებს ესპანეთის ნაკრებს, შემდეგ მოდის სტუმრობა ბელგიაში. მე-4 ტურში „ბორჯღალოსნები“ გერმანიას ქუთაისში მიიღებენ. მილტონ ჰეიგის გუნდი ჩემპიონატს 17 მარტს რუსეთთან სტუმრობით დაასრულებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველო რაგბი ევროპის (ერთა თასის) 10-გზის გამარჯვებულია. შემდეგ რუმინეთის ნაკრები მოდის 5 ტიტულით თუმცა რაგბი ევროპის ორგანიზაციამ ბოლო ტიტული ჩამოართვა მათ. ერთხელ ეს ტურნირი მოიგო პორტუგალიამ, რომელიც ახლა ელიტაში აღარ არის.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2019 წლის კალენდარი ასეთია:

9 თებერვალი: რუმინეთი-საქართველო; ბელგია-გერმანია;
10 თებერვალი: ესპანეთი-რუსეთი;
16 თებერვალი: რუსეთი-ბელგია; რუმინეთი-გერმანია
17 თებერვალი: საქართველო-ესპანეთი;
2 მარტი: ბელგია-საქართველო; გერმანია-რუსეთი;
3 მარტი: ესპანეთი-რუმინეთი;
9 მარტი: რუმინეთი-რუსეთი;
10 მარტი: საქართველო-გერმანია; ესპანეთი-ბელგია;
17 მარტი: რუსეთი-საქართველო; გერმანია-ესპანეთი; ბელგია-რუმინეთი.

ფაბიო კაპელოს ექსპერტად მუშაობა მოსწონს

ლეგენდარული მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელიც იტალპრესზე საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, იტალიური კლუბების ევროპულ ასპარეზზე გამოსვლას ანალიზს უკეთებს.

ფაბიო კაპელო:

– ნაპოლის ბევრი აკრიტიკებს, თუმცა მათ ენფილდზე კარგი მატჩი გამართეს. ოდნავი იღბალი და ახლა ისინი ქების ობიექტები იქნებოდნენ. დამერწმუნეთ, გადაჭედილ „ენფილდზე“ თამაში იოლი არავისთვის არის. ეს თავადაც გამოვცადე, როდესაც იუვეში ვმუშაობდი.

რომას რაც შეეხება: ანჩელოტის ის ფაქტი მომწონს, რომ იგი ქალაქის ცხოვრების რიტმში ჩაერთო და გარკვეულწილად მისი კულტურა გაითავისა. ანალოგიური რამ მქონდა, როდესაც რომა ჩამაბარეს. დარწმუნებული ვარ ისინი ეცდებიან ევროპა ლიგაზე წარმატების მიღწევას. მათ ამისთვის საჭირო რესურსი ნამდვილად აქვთ.

აი, იუვენტუსი კი, ატლეტიკოსთან ნამდვილად გამოვა მინდორზე ფავორიტის სტატუსით. მადრიდელებს კარგი გუნდი ჰყავთ და მათ არაფერს ვუკარგავ, მაგრამ ბოლო წლებთან შედარებით, ისეთივე კომპაქტურები აღარ არიან. იუვე კი პირიქით, ყველა კომპონენტში მოძლიერდა, გამოცდილება დააგროვა და ზუსტად იცის რას, როგორ უნდა მიაღწიოს.

ლაციო? ვიტყოდი, რომ ინძაგის გუნდს მომავალ მეტოქესთან არ გაუმართლა. თუმცა, სიმონეს დიდ პატივს ვცემ და ვფიქრობ, მას შეუძლია სიურპრიზის შეთავაზება.

დღევანდელი ინტერის პრობლემა გამოუცდელობა იყო და მეტი არაფერი. გუნდი ლიგას მოწყურებული ჩანდა და ამ ემოციებმა მათ სტაბილურობას თავისი დაღი დაასვა. მათ ყველაფერი წინ აქვთ, მთავარია საკუთარი ძალები ირწმუნონ.

ჩავიბარებ თუ არა იტალიის ნაკრებს? შემოთავაზება იყო. მომწონს, რითიც ახლა ვარ დაკავებული და რაიმეს შეცვლას არ ვგეგმავ.

ლატარიის გამარჯვებული კინაღამ მოგების გარეშე დარჩა

ამერიკის მონტანას შტატის მცხოვრებმა კინაღამ მომგებიანი ლატარიის ბილეთი გადააგდო, მისი დროულად შეჩერება ძმამ მოასწრო.

ვირჯინია ბუსკო-გევალდმა განაცხადა, რომ ის თავისი აზარტული ძმის კენისგან განსხვავებით, ლატარიას არ თამაშობს, მაგრამ დეკემბრის დასაწყისში მაღაზიაში შესულმა შენიშნა დახლი, სადაც ლატარიის ბილეთები იყიდებოდა და გადაწყვიტა ერთხელ თავადაც ეცადა ბედი. მან ლატარიის სახელწოდება არ იცოდა და იყიდა ის, რომელიც კონსულტანტმა ურჩია: პოუვერბოლის ლატარიის ბილეთი.

– მე მას სერიოზულად არ აღვიქვამდი, მხოლოდ გასართობად ვიყიდე, – განაცხადა ქალმა.

მან მომგებიანი რიცხვები შეამოწმა, ნახა, რომ ექვსიდან მისი ხუთი რიცხვი დაემთხვა და იფიქრა, რომ ვერაფერი მოიგო. ბუსკო-გევალდი უკვე ბილეთის გადაგდებას აპირებდა, რომ ბილეთის გადამოწმება მისმა ძმამ გადაწყვიტა, შემდეგ კი გაოგნებულ დას უთხრა, რომ მან 50 ათასი დოლარი მოიგო.

ქალი მოგებული თანხის ნაწილით ნათესავების მონახულებას აპირებს. ჯერ ერთ ნათესავს ესტუმრება კორეაში, შემდეგ კი მეორე ნათესავს ნიუ-იორკში.

ცხენირმებს ტურისტები მოეწონათ

ამერიკის ვაიომინგის შტატში მამაკაცმა ვიდეოზე გადაიღო ორი ცხენირემი, რომლებმაც მის მანქანაში შეყვეს თავები. ინფორმაცია ამ შემთხვევის თაობაზე ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გაავრცელა.

ვიდეორგოლის ავტორმა მანქანა გააჩერა, რათა გზის პირას წამოწოლილი ცხენირმებისთვის სურათები გადაეღო. მას შემდეგ კი, როდესაც ის მანქანაში ჩაჯდა, ცხენირმები წამოდგნენ, ახლოს

მივიდნენ და ავტომობილის თვალიერება დაიწყეს. შემდეგ თავები მანქანის სალონში შეყვეს და მძღოლს და მის მგზავრს ყნოსვა დაუწყეს, თანაც კმაყოფილებით ფრუტუნებდნენ. ამის შემდეგ კი ისინი შეტრიალდნენ და ტყის პირს მიაშურეს.

პირველი „საჩუქარი“ სოლსკიაერს

მანჩესტერ იუნაიტედი ზამთრის ტრანსფერებზე ახალი ფეხბურთელების შეძენას შეეცდება. „წითელი ეშმაკების“ პრიორიტეტი ძირითადად ცენტრალური მცველისა და მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციები იქნება.

ედ ვუდვორდს ძალიან კარგად ესმის კლუბში მიმდინარე პრობლემები. შესაბამისად, ახალ მწვრთნელს, ოლე გუნარ სოლსკიაერს გუნდის გასაძლიერებლად თანხას გამოუყოფს. მანჩესტერელთა მენეჯერს იანვრის ტრანსფერებზე დასახარჯად 63 მილიონი დოლარი მიეცემა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იუნაიტედი ძირითადად ცენტრალური მცველისა და მარჯვენა ფრთის ნახევარმცველის შეძენას შეეცდება. პრიორიტეტი კი ამ მომენტისთვის ტობი ალდერვაირელდი და დუგლას კოშტაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მილიონერი ღარიბებისთვის ფულის გადაყრის გამო დააპატიმრეს

ჰონკონგში მილიონერმა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ კვარტალში ფულები მიმოფანტა, რისთვისაც ის პოლიციამ დააპატიმრა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. 24 წლის ბიზნესმენმა ვონ ჩხინ კხიტმა, რომელიც ასევე მონეტების ახალგაზრდა ოსტატის ფსევდონიმითაა ცნობილი, მრავალსართულიანი სახლის სახურავიდან ქუჩაში 100 მილიონი ჰონკონგური დოლარი გადაყარა. ხალხმა იმ წამსვე დაიწყო ფულების აკრეფა და ამის შედეგად ჭყლეტა წარმოიქმნა.

ვონმა გამოაცხადა, „ძარცვავს მდიდრებს, რომ ღარიბებს დაეხმაროს“ და „თავს მოვალედ თვლის, ხალხს ბიტკოინებზე უამბოს“. პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააკავა, ხოლო ხალხს მოუწოდა, რომ შეგროვილი ფული პოლიციის განყოფილებაში მიიტანონ.

თავდაპირველად მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს აქცია ბიტკოინ-მილიონერმა მოაწყო, თუმცა ეს ინფორმაცია ჰონკონგის ბიტკოინ-ასოციაციის პრეზიდენტმა ლეონარდ ვიზმა უარყო.

– ის ბიტკოინ-მილიონერი არ არის, არამედ ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი ფინანსური პირამიდის მფლობელია, – განაცხადა ვიზმა.

აღსანიშნავია, რომ ვონი 2012 წელს დააპატიმრეს და ტელეფონების ქურდობაში დამნაშავედ ცნეს. მაშინ ის ცურვის მწვრთნელად მუშაობდა. ასევე 2017 წელს ის დაუკავშირეს თაღლითების ჯგუფს, რომლებიც კლიენტებს ოქროს და ფულის დაბანდებაზე ითანხმებდნენ და შემდეგ მათთან ერთად უჩინარდებოდნენ. ასევე ის ითვლება ფინანსური პირამიდის მფლობელად, რომელიც კლიენტებს ჰპირდება, რომ ისინი თავდაპირველ შენატანზე ოთხჯერ მეტ თანხას დაიბრუნებენ.

მტაცებლებმა ნადავლი ტურისტების თვალწინ დაგლიჯეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში მდებარე მალამალას ნაკრძალის დამთვალიერებლები გიენისმაგვარი ძაღლების კურდღელზე ნადირობის თვითმხილველები გახდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ეგერმა პიტერ ვან ბიკმა გადაიღო და იუთუბიზე განათავსა.

ვიდეოს ავტორის თქმით, ტურისტები გიენისმაგვარ ძაღლების ხროვას გადაეყარნენ, რომელიც ოთხი მოზრდილი მტაცებლის და რვა ლეკვისგან შედგებოდა. მოზრდილებმა კურდღელი შენიშნეს და მას თითქმის 500 მეტრის მანძილზე სდიეს.

დევნილმა ცხოველმა თავი ერთ-ერთ სოროს შეაფარა, მაგრამ მტაცებლები არ მოეშვნენ, მათ სორო გამოთხარეს, კურდღელი გამოათრიეს და ტურისტების თვალწინ დაგლიჯეს.

– ჩემი აზრით, ასეთი სანახაობა კმაყოფილებას არ უნდა იწვევდეს, თუმცა მისთვის არც გვერდის ავლაა მართებული, – აღნიშნა ეგერმა, – ეს წმინდა წლის ბუნებაა.

ჩინელს ოპერაციაში ღირებულებაზე ასჯერ მეტი გადაახდევინეს

ჩინეთის პროვინცია ხებეის ქალაქ ტანშანის მცხოვრებს წინადაცვეთის ოპერაციაში იმაზე ასჯერ მეტი გადაახდევინეს, ვიდრე ის ფიქრობდა.

წინადაცვეთის ღირებულება კერძო საავადმყოფოში, რომელსაც მამაკაცმა მიმართა, 800 იუანს წარმოადგენდა. გასინჯვის შემდეგ ექიმმა აცნობა, რომ მას სამი კისტა აღმოაჩნდა, რომლებიც ამოკვეთას საჭიროებდნენ.

მას დაუყოვნებლივ გაუკეთდა ოპერაცია, რის შემდეგაც 80 ათასი იუანის ანგარიში წარუდგინეს., რომელშიც, წინადაცვეთის ღირებულების გარდა, კისტის მოცილების ხარჯებიც შედიოდა.

მამაკაცმა საჩივრით ხელისუფლებას მიმართა. საქმის გამოძიების შემდეგ კერძო კლინიკას გაფრთხილება მიეცა. გარდა ამისა, მას ჩამოერთვა ლიცენზია და ჯარიმის სახით 52 ათასი იუანის გადახდა დაეკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკა ამაშუკელი 6 ერის მატჩს იმსაჯებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მალე თუ მოხდებოდა. ვფიქრობ, რუმინეთისა და გერმანიის შეხვედრა საინტერესო გამოვა. რუმინეთს რეგრესი აქვს, გერმანია პროგრესირებს. შარშან, „კონტინენტის ფარის“ ნახევარფინალში, გერმანიის ჩემპიონმა ჰეიდებერგმა რუმინეთში ტიმოშუარას მოუგო. მოედანზე მრავლად იყვნენ ნაკრების მოთამაშეები და ვფიქრობ, გერმანელები იოლად ახლაც არაფერს დათმობენ.

– და მთავარი... პირველად 6 ერის ტურნირზე „უცხო კაცი“ იმსაჯებს და ეს ნიკა ამაშუკელი იქნება.

– სიმართლე გითხრათ, არ ველოდი 6 ერის თამაშზე დანიშვნას... 20-წლამდელთა 6 ერი ელიტის ნაწილია და ეს როგორც ჩემთვის, ასევე ქართული რაგბისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავს. საერთოდ, 6 ერი დაკეტილი საზოგადოებაა და პირველად ხდება, რომ მის შემადგენლობაში არმყოფი ქვეყნის მსაჯი, ამ ტურნირში ჩაერთვება. იქ უდიდესი კონკურენციაა, უმაღლესი დონის მსაჯები მუშაობენ და მათთან ერთად უდიდეს გამოცდილებას შევიძენ, რაც საბოლოოდ ისევ ქართულ რაგბს წაადგება. მქონდა საუბარი ჩემს მასწავლებელთან, ირლანდიელ დევიდ მაკქიუსთან, რომელიც ძალიან მეხმარება და მან მითხრა – ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ სხვა ქართველ მსაჯებს გზა გავუკვალო უმაღლესი მწვერვალისკენ.

– უკვე იცი ვინ დაგეხმარება ამ რთული მისიის შესასრულებლად?

– ჯერ არ ვიცი ვინ იქნებიან ჩემი ასისტენტები. მოუთმენლად ველი ამ შეხვედრას, რადგან ინგლისში, ინგლისის ნაკრების თამაშის მსაჯობა დიდი პატივი და საპასუხისმგებლო საქმეა. ვიცით, როგორ უყურებენ ინგლისელები რაგბის თამაშებს და დიდი ინტერესით ველოდები მომავალი ვარსკვლავების შეხვედრას, ასევე შეფასებას მაყურებლისა და სპეციალისტებისგან.

– რა იყო გადამწყვეტი, რამაც ასეთ დონეზე მსაჯობის უფლება მოგიტანა?

– კარგი გამოძახილი მქონდა 20-წლამდელთა „ალაფაზე“, სადაც ერთადერთი მსაჯი ვიყავი, რომელმაც 4 თამაში ვიმსაჯე და რანგით ასეთი დონის ტურნირის კარგად ჩატარება ძალიან ბევრს ნიშნავს. ასევე საკლუბო ტურნირებზე და ყველა საერთაშორისო მატჩზე, კარგ შეფასებას ვიღებდი. სეზონის დასაწყისშიც, მსაჯების შეკრებაზე ტესტები ყველაზე კარგად ვირბინე. დიდი დახმარება გამიწია ჟოელ ჟუშმა, რომელიც ჩემ მიმართ კეთილგანწყობილია.

– ქართულ რაგბის აქამდე მხოლოდ სპორტსმენებით იცნობდნენ, ახლა უკვე მსაჯებითაც გახდა ცნობილი.

– ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი ქართული რაგბის გამარჯვებაა და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონს გოჩა სვანიძეს, დავით შუბითიძეს და ლუკა კილასონიას. რაგბის კავშირი ჩვენ მიმართ მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას არ იშურებს და სწორედ ამის დამსახურებაა, მე და შოთამ ასეთ სიმაღლეებს რომ მივაღწიეთ.

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

21 დეკემბრისათვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – სამსახურში დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ᲯᲣᲠᲝ** – ფიზიზლად იყავით. კეთილისმყოფელი დღეა ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის. **ᲩᲥᲣᲬᲔᲑᲘ** – ბიზნეს-პარტნიორებთან უთანხმოება გაქვთ. ინტიმურ ურთიერთობებში სასიამოვნო სიახლეა მოსალოდნელი. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – ჰარმონიული დღეა. სულიერ სიმშვიდეს ვერაფერი დაგირღვევთ. ყურადღების ცენტრში ხართ. **ᲦᲝᲛᲘ** – დილიდანვე ქოსში ერთვებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ᲯᲐᲚᲜᲣᲚᲘ** – განიწმინდეთ ზნეობრივად. მორალური პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – კრიტიკული დღეა. შეცდომა არ გეპატიებათ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრდით. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – ნებისმიერ საქმეს თავს იოლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაართმევთ თავს. კეთილსინდისიერება დღის დევიზია. **ᲛᲔᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – საკუთარ მოვალეობებს სხვას ნუ გადააბარებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ** – სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. უთანხმოება და გაუგებრობა დილიდანვე იჩენს თავს. **ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა იზრდება. ქუჩაში მოძრაობისას იფრთხილეთ. **ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘ** – პროფესიული პრობლემებით ხართ დაკავებული, რის გამოც პირად ცხოვრებაში სიტუაცია გეძაბებათ. ზომიერება დაიცავით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲔᲚᲘ Ბ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი ვიწრო ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ირანის ყველაზე დიდი ნავსადგური; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. გოეთეს ტრაგედია; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 7. უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხეს მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 25. ბოსტნეული კულტურა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბარტერი; 2. ჭომა; 3. სვანი; 4. გლდანი; 6. ფეხბურთი; 9. იუმორი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვახშამი; 15. ჩაქურა; 17. ფრაჟე; 18. ვერნი; 20. დუდა.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ბოჭორმა; 5. შელფი; 7. ღვეზელი; 8. რემისია; 10. ზუთხი; 11. ნოკია; 12. რამოსი; 16. მანათი; 17. ფშავი; 19. ოქრო; 21. სულორი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. ჩიხურა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. იღუმენი; 3. ტიტიკაკა; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სენტო.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. კინტრიში; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სანტი.

მთავარი საახალწლო ნაძვის ხე 22 დეკემბერს აინთება

მთავარი საახალწლო ნაძვის ხე თბილისში 22 დეკემბერს საზეიმოდ აინთება. ნაძვის ხე რესპუბლიკის მოედანზე იდგმება, სადაც საახალწლო სოფელიც მოეწყობა და სადღესასწაულო გალა კონცერტი გაიმართება.

თბილისის მერის გადაწყვეტილებით, ამიერიდან საახალწლო ნაძვის ხე ყოველთვის რესპუბლიკის მოედანზე დაიდგმება, საახალწლო სოფელიც აქვე მოეწყობა და გალაკონცერტიც გაიმართება, რაც ახალი ტრადიცია იქნება დედაქალაქისთვის.

ნაძვის ხის ანთების ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური იქნება. დადგმის ავტორია ნიკუშა შველიძე, ხოლო მუსიკა, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის დაიწერა, მიშა მდინარაძეს ეკუთვნის. ღონისძიებაში არაერთი მსახიობი და მუსიკოს-შემსრულებელია ჩართული. გალა კონცერტს მუსიკალურად 82 არაჩვეულებრივი, ნიჭიერი ბავშვიც გააფორმებს.

თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს საახალწლო სოფელი 28 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით უმასპინძლებს.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საახალწლო ღონისძიება გაიმართება

21 დეკემბერს დედაენის ბაღში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საახალწლო ღონისძიება გაიმართება. ღონისძიება სამომავლო დიდი პროექტის „მე შენ ყველანაირი მიყვარხარ“ ნაწილია და შშმ და სსსმ ბავშვების და მათი მშობლების საზოგადოებაში მეტ ინტეგრაციას“ ისახავს მიზნად.

– მხიარულება, საჩუქრები, სიურპრიზები – ერთად შევუქმნათ საახალწლო განწყობა ბავშვებს! ახალი წელი ხომ ყველასთვის ყველაზე საყვარელი დღესასწაულია! – ასეთია ღონისძიების ორგანიზატორთა მთავარი გზავნილი.

ორგანიზატორები მოუწოდებენ მშობლებს და პედაგოგებს, ნუ მოაკლებენ ბავშვებს ამ შეხვედრის სიამოვნებას. მათ უმასპინძლებენ მხატვრები, დიზაინერები, მსახიობები. ისინი იზრუნებენ ბავშვების გამხიარულებაზე. რა თქმა უნდა, ახალი წლის სამზადისი უსაჩუქროდ არ ჩაივლის და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

დათო ოქიტაშვილი ნინო ანანიაშვილის თანამდებობიდან მოხსნას ითხოვს

კულტურის პალატის პრეზიდენტი დათო ოქიტაშვილი თბილისის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის თანამდებობიდან მოხსნას ითხოვს და პერმანენტული აქციების დაწყებას აანონსებს.

– როდესაც საბალეტო დასს ხელმძღვანელობს ადამიანის მეუღლე, რომელიც საქართველოს ემუქრება და მოსახლეობას მოუწოდებს დაამხოს ეს ხელისუფლება, საქართველოს მთავრობას ეძახის კრიმინალებს, ბიძინა ივანიშვილს ეძახის ნარკო-ბარიგას, მე მივმართავ კითხვით ქალბატონ ნინო ანანიაშვილს, ან გამოვიდეს და გაემიჯნოს თავის მეუღლეს და თქვას, რომ არ ეთანხმება, ან გადადგეს. ოპერა ხელში აქვთ ჩაგდებული ვაშაძეებსა და ანანიაშვილებს და იქ შესვლის უფლება არ აქვს ოპერაში მოღვაწე ისეთ ცნობილ ადამიანს, როგორიცაა ირმა ნიორაძე, ცისკარიძე და ა.შ.

პერმანენტულ აქციებს დავიწყებთ, ოპერა უნდა გათავისუფლდეს ვაშაძეების და ანანიაშვილების კლანისგან. ნინო ანანიაშვილს, მე ვაფასებ, როგორც დიდ ბალერინას, მაგრამ უნდა დამთავრდეს ამ ცხოვრებაში ორმაგი სტანდარტით ცხოვრება, თუ მისი მეუღლე და ოჯახის წევრი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ უნდა დავამხოთ ეს ხელისუფლება, ამ ხელისუფლებას რატომ ემსახურება, წავიდეს, დაჯდეს სახლში. 2020 წელს იქნება არჩევნები, თუ მოიგებს მისი ქმრის პარტია, ისევ დააბრუნონ. ყველამ დატოვა საბალეტო დასი, ქართველი ჩვენი ნიჭიერი ბალერონები თუ ბალერინები მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჩვენთან ცეკვავს ჩინელი, იაპონელი, ეს არის სირცხვილი, – განაცხადა დათო ოქიტაშვილმა.

ამ განცხადების შემდეგ, დათო ოქიტაშვილმა საზოგადოებისგან კრიტიკა დაიმსახურა. საზოგადოების ნაწილმა გადაწყვიტა შექმნას პეტიცია საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის თანამდებობიდან დაუყოვნებელი გადადგომის შესახებ.

ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ივრითზე თარგმნისთვის უარი განაცხადა

ეს ინფორმაცია მწერალმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– აღშფოთებული ვარ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ივრითზე თარგმნის უარის გამო. თურმე წიგნის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს ვაჟას ივრითზე თარგმნა არაპრიორიტეტულად მიუჩნევია, თან დასძენენ, სახსრებიც დაგველიაო.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის, ივრითზე, მთელი ქართული კლასიკიდან, არსებობს მხოლოდ გაპონოვისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და ცენტრის მიერ დაფინანსებული პოეტური კრებული რამდენიმე თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსებით.

სულ ეს არის და ეს. ჰო, ერთ ისრაელურ ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი მოთხრობის თარგმანიც, წიგნის ცენტრის ჩაურევლად, რა თქმა უნდა. ვაჟა-ფშაველას კი ბედი არც სიცოცხლეში წყალობდა და ახლაც არ გაუმართლა.

თუმცა ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ ვაჟა- ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ ივრითზე ითარგმნა და მისი პრეზენტაცია თელ ავივში 31 იანვარს გაიმართება.

მანანა დუმბაძე:

– ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ ივრითზე. პრეზენტაცია გაიმართება თელ ავივში 31 იანვარს. დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში საქართველოს საელჩოს ისრაელში.

ნაირა გელაშვილი დააჯილდოვეს

მწერალი ნაირა გელაშვილი დააჯილდოვეს. მან ჯილდო ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიიღო. გივი მარგველაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი 2018 წელს სწორედ მწერალი და მთარგმნელი ნაირა გელაშვილი გახდა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი თბილისში, გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა, სადაც მწერლის ლაუდატორებად წარდგნენ ცნობილი ლიტერატორი ლევან ბრეგაძე და აგრეთვე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, პოეტი, მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე.

ოპერის მომღერალმა გოდერძი ჯანელიძემ საერთაშორისო კონკურსზე 3 პრიზი მოიგო

ოპერის მომღერალმა გოდერძი ჯანელიძემ რიმსკი-კორსაკოვის სახელობის რიგით XI საერთაშორისო კონკურსზე 3 პრიზი მოიგო.

ოპერის ახალგაზრდა მომღერლებისთვის ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსზე ქართველმა მომღერალმა მთავარი პრიზი – გრანპრი, მაყურებლის სიმპათია და არტისტიზმის ნომინაცია მოიპოვა.

გოდერძი ჯანელიძე სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებულია. მის სახელზე არაერთი გრანპრი და სხვადასხვა ნომინაციის გამარჯვებულის დამადასტურებელი დიპლომია.

პოლიციამ ნაგვის ტომარაში აღმოჩენილი „ცხედარი“ გაალვიძა

ბრაზილიაში გამვლელს მთვრალი, რომელიც ნაგვისთვის განკუთვნილ ტომარაში იწვა, გარდაცვლილი ეგონა და პოლიცია გამოიძახა.

ინციდენტი სან-პაულუს შტატის პრაიაგრანდის მუნიციპალიტეტში მოხდა. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები მშენებლობის მახლობლად ძაღლს ასეირნებდა. მისმა შინაურმა ცხოველმა მიწაზე დაგდებულ დიდ შავ ტომარას მიაქცია ყურადღება. ის მასთან მივიდა და იქიდან ადამიანის ფეხი გამოაძვრინა. ძაღლის პატრონი ძალიან შეშინდა და დაუყოვნებლივ პოლიცია გამოიძახა.

ადგილზე მისულმა სამხედრო პოლიციელებმა ტომრის შეგთავსი ფანრის შუქზე დაათვალიერეს და ფეხების ფერის მიხედვით ირწმუნეს, რომ საქმე მართლაც გარდაცვლილთან ჰქონდათ.

– როდესაც ადგილზე მივედით, ჩვენ ტომარა შორიდანაც შევათვალიერეთ და უფრო ახლოდანაც დავათვალიერეთ. რის შემდეგაც დავასკვენით, რომ საქმე დანაწევრებულ გვამთან გვქონდა. ჩვენ არაფერს შევხებივართ, რათა კრიმინალისტებისთვის მტკიცებულებების აღმოჩენაში ხელი არ შეგვშალა, – განუცხადა ჟურნალისტებს კაპრალმა სერჟიო პასოსმა.

სანამ პოლიცია კრიმინალისტების მისვლას ელოდებოდა, ტომარაში მყოფი მამაკაცი მოულოდნელად გონს მოეგო. ის ტომრიდან გამოძვრა და განმარტა, რომ წინა ღამით ძალიან ბევრი დალია და ამიტომ იქვე ქუჩაში მიწვა დასაძინებლად, ხოლო რომ არ გაყინულიყო, ტომარაში შეიფუთნა. პოლიციელებმა, მას შემდეგ რაც დარწმუნდნენ, რომ მამაკაცი სრულ წესრიგში იყო, სახლში მიყვანა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი უთხრათ და შეეცადა ისევ ძილი გაეგრძელებინა. თუმცა მას ამის საშუალება აღარ მისცეს და სახლში წაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

ეკა კვალიაშვილი საქართველოდან წასვლაზე ფიქრობს

მომღერალი ეკა კვალიაშვილი საქართველოდან წასვლაზე ფიქრობს, რადგან ძალიან დაიღალა:

– ჩემო კარგო საზოგადოებავ, ძალიან მაგრად მიმიქარავს, რომ ასე მყვარებია საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ხალხი, საკუთარი ქართველობა.

აღარც გიმღერებთ და არც საჭიროა. ისე გავიდა წლები, ერთხელ არ მიგრძნია მონატრება, არა ვარ საჭირო აქ? ნახვამდის. ძალათ არავის ავკიდებ ჩემს არსებობას, შეჩვეული კი არის საქართველო, ერთგულებისთვის და თავდადებისთვის ამ პასუხს ვიღებ.

კი ბატონო, სულ ერთია ვინ ხართ! შინაური თუ გარეული, რასაც ვიგრძნობ, იმას მიიღებთ ჩემგან. აქედან შორს! მერე ისევ აქ დაბრუნება, მაგრამ სხვა სტატუსით! ეხება ყველას, ვისაც ეხება!

უბრალოდ ვიტყვი ხმამაღლა, არა ვიყვირებ – დავიღალე!

ხუთმეტრიანმა პითონმა მოსწავლეების თვალწინ კინაღამ მეხანძრე გაგუდა

ტაილანდში ხუთმეტრიანმა პითონმა უსაფრთხოების დაცვის გაკვეთილის დროს მოსწავლეების თვალწინ კინაღამ მეხანძრე გაგუდა. აღნიშნული ინციდენტის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემა გამოაქვეყნა.

ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქ ბანგკოკში მოხდა. კხუნ აპიჩე მოსწავლეებს აჩვენებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ მათ სხეულზე გველი შემოეხვეოდათ. თუმცა დემონსტრაციის პროცესში ხუთმეტრიანი პითონი 40 წლის მამაკაცს თავზე შემოეხვია. აპიჩე სახეზე ერთიანად გაწითლდა და მთელი ძალით აკავებდა გველის თავს, რათა ქვეწარმავალს მისთვის არ ეკბინა.

მეხანძრის კოლეგა მომხდარს კომენტარს უკეთებდა: „გველი მისთვის კბენას ცდილობს, რადგანაც მას ეს მოსწონს. როდესაც გველს ადამიანის შეჭმა უნდა, ის მას სწრაფად კბენს და კიდევ უფრო სწრაფად გუდავს, მაგრამ ეს ბებერი და მოშინაურებული გველია“. შემდეგ მან ერთ-ერთი მოსწავლე მიიწვია და შესთავაზა, რომ მას ხელი ქვეწარმავლის ტანსა და აპიჩეს თავს შორის შეეყო, რათა ენახა, თუ რამდენად ძლიერად უჭერდა მეხანძრეს პითონი.

პითონი რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სახლში დაიჭირეს და მას შემდეგ ტყვეობაში იმყოფება. ის რეგულარულად იღებს მონაწილეობას ასეთ გაკვეთილებში.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6647

ევრო — 3.038

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3695

100 რუსული რუბლი — 3.9642

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბრისთვის

სამუელ უმტიტი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა

ბარსელონას ფრანგი მცველი სამუელ უმტიტი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და შესაძლოა ის ერთ კვირაში მოედანზე ვიხილოთ.

უმტიტიმ ტრავმა სეზონის დასაწყისში მიიღო, ხოლო ერთი თვის წინ ეს ტრავმა გაუმიზეზდა, ამიტომ მას საკმაოდ ბევრი თამაშის გამოტოვება მოუწია.

უმტიტის დაბრუნება ბარსელონასთვის მნიშვნელოვანია, რადგან ფრანგი მცველი კატალონიური გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

უმტიტი ბარსელონაში 2016 წელს გადავიდა, მანამდე კი ლიონის ღირსებას იცავდა.

„ცუდს არავისზე ვიტყვი“ — მოურინიომ პირველი კომენტარი გააკეთა

მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლის შემდეგ ჟოზე მოურინიომ პირველი კომენტარი გააკეთა და თქვა, ის ამაყობს, რომ მანჩესტერ იუნაიტედის ნაწილი იყო და ძალიან კარგ ადამიანებთან უწევდა მუშაობა:

– მანჩესტერ იუნაიტედი დიდი გუნდია და ამ გუნდში 2 წელიწადზე მეტი გავატარე, რითიც ძალიან ამაყი ვარ, თუმცა შეიძლებოდა, რომ უფრო მეტიც გამეკეთებინა. არავისზე ცუდის თქმა არ მინდა, ამიტომ სხვა კომენტარს არ გავაკეთებ.

ჟოზე მოურინიო 18 დეკემბერს გაათავისუფლეს და მისი ადგილი ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაიკავა.

გატუზო შესაძლოა ახალი წლის შემდეგ გაათავისუფლონ

მილანის მთავარი მწვრთნელი ჯენარო გატუზო შესაძლოა რამდენიმე შეხვედრის შემდეგ გაათავისუფლონ.

მილანს 2018 წელს რამდენიმე შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი და გატუზოს ბედი სწორედ ამ მატჩებში გადაწყდება.

ერთი კვირის მილანი ევროპის ლიგიდან გამოვარდა და გატუზო კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. იტალიის ჩემპიონატში მილანი მე-4 ადგილზეა, თუმცა ბოლო შეხვედრებში მილანი ვერც თავის ჩემპიონატში ბრწყინავს. გატუზოს შემცვლელად არსენ ვენგერიც განიხილება, თუმცა ვენგერმა მილანთან დაკავშირებით ინფორმაცია უარყო.

ბაიერნი ბორუსიას მიუახლოვდა

ბაიერნმა საკუთარ მოედანზე ლაიპციგი 1:0 დაამარცხა და ლიდერ დორტმუნდის ბორუსიას მიუახლოვდა. ამჟამად ამ ორ გუნდს შორის სხვაობა მხოლოდ 6 ქულაა.

ბორუსიამ გერმანიის ჩემპიონატში წლევანდელ სეზონში პირველი მარცხი განიცადა სტუმრად ფორტუნასთან და ამით ბაიერნმა ისარგებლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაიერნს თავისი თამაშის მოგება გაუჭირდა და მან მხოლოდ 83-ე წუთზე რიბერის მიერ გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა ლაიპციგი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კანადაში უკანასკნელ ცრუ ჯადოქარს გაასამართლებენ

კანადის პროვინცია ონტარიოში ქალს ცრუ ჯადოქრობაში ბრალი, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამ დანაშაულისთვის განკუთვნილი მუხლის ამოღებამდე ორი დღით ადრე წაუყენეს.

11 დეკემბერს 33 წლის ტიფანი ბუტჩს ბრალი იმისთვის წაუყენეს, რომ ის თავის კლიენტებს წყევლის და ჯადოს მოსახსნელად ფულს მოტყუებით სძალავდა. 13 დეკემბერს კი მუხლი, რომელიც „თავის ჯადოქრად გასაღებას“ კრძალავს, ოფიციალურად გაუქმდა.

ბუტჩი, რომელიც „ჩრდილოეთის თეთრი ჯადოქრის“ სახელით იყო ცნობილი, კანადაში უკანასკნელი იქნება, რომელსაც ამ დანაშაულისთვის ბრალს წაუყენებენ და სასამართლოს წინაშე წარდგება. პოლიცია და პროკურატურა აპირებს სასამართლოს ყურადღება მიაპყროს დანაშაულის შესაძლო ჩადენის დროისთვის კანონის მოქმედებას. აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსი კანადაში 1892 წელს შეიქმნა და ორჯერ მოხდა მისი განახლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქალმა ღამით უნდა იმშობიაროს. მას ძილში ანგელოზი გამოეცხადა და ეუბნება:

– შემიძლია ისე გავაკეთო, რომ მშობიარობის დროს ტკივილების ნაწილი ბავშვის მამამ განიცადოს.

მშობიარობის მეორე დღეს ცოლი სანახავად მისულ ქმარს ეკითხება:

– წუხელის როგორ გეძინა?

– ცუდად, ჩვენი მეზობელი მთელი ღამე ისე ღრიალებდა, თითქოს მშობიარობდა...

●●●

პატარა გოგონებს ლოგინში აწვენენ და მერე ზღაპარს უყვებიან. დიდ გოგონებს კი ჯერ ზღაპარს უყვებიან და საწოლში მერე აწვენენ.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

– თქვენი საბუთები თუ შეიძლება.

– აი, ინებეთ.

– ასე, საბუთები წესრიგშია და თვალები რატომ გაქვთ ჩაწითლებული, რა, დასვენების დღეებში არ დაისვენეთ.

– როგორ არა, მეგობრებთან ერთად ვისვენებდი.

– აა, ალბათ გოგონების გარემოცვაში.

– არა, სუფთა მამაკაცურ გარემოში.

– აჰა, ალბათ სვამდით, ლუდი, არაყი, ღვინო?

– არა, საერთოდ არ დაგვილევია...

– აბა ერთი ამაში ჩაბერეთ, შევამოწმოთ.

– კი, ბატონო!

– აქაც ყველაფერი წესრიგშია, ცუდად ისვენებთ პატივცემულო, ცუდად!

●●●

გოგონა სამხედრო კომისარიატის წინ დგას და ტირის. გამვლელი ეკითხება:

– რა მოხდა, შენი საქმრო ჯარში წაიყვანეს?

– ჰო, ხუთივე!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, კოსტა-რიკაში ხეღებზე კაუჩუკის ხის წვენს ისვამენ, შემდეგ იქნევენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

– და პრეზერვატივებს როგორ აკეთებენ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

მოხუცმა გარდაცვალების შემდეგ მეზობლის გოგონას სამომავლოდ საჩუქრები დაუტოვა

ბრიტანეთის ქალაქ ბარიში, სამხრეთ უელსი, მოხუცმა გარდაცვალების შემდეგ მეზობლის გოგონას უახლოესი 14 წლისთვის საშობაო საჩუქრები დაუტოვა.

ოუენ და კეროლაინ უილიამსები მოხუცი მამაკაცის, სახელად კენის, მეზობლად ორი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ, ისინი იქ საცხოვრებლად ბავშვის დაბადებისთანავე გადავიდნენ. მოხუცი, რომელიც 80 წელს იყო გადაცილებული, მათი შვილის კადისთვის სულს არ იშურებდა.

კენი არც ისე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და მეზობლების კარზე მისმა ქალიშვილმა დააკაკუნა.

– მას ხელში ეკავა დიდი პლასტიკური ჩანთა. მე ვიფიქრე, რომ მასში ნაგავი ეყარა და უნდოდა ჩემთვის ეთხოვა, რომ ის მე გამეტანა, – აღიარა უილიამსმა, თუმცა მასში უამრავი საშობაო საჩუქარი აღმოჩნდა, რომელიც მათი ბავშვის, კადისთვის იყო განკუთვნილი.

– მე ტომარა ოთახში შევიტანე, ამ დროს კი ჩემი მეუღლე სიდედრს ვიდეოკავშირით ესაუბრებოდა. ცოლი მის დანახვაზე ატირდა, შემდეგ კი დედამისიც აქვითინდა, – განაცხადა მამაკაცმა. მან ასევე დაამატა, რომ მეზობლისგან ასეთ რამეს არავინ მოელოდა. უცნობია, კენი ამ საჩუქრებს ორი წლის მანძილზე ყიდულობდა თუ ყველაფერი გარდაცვალებამდე იყიდა.

წყვილმა ერთ-ერთი საჩუქარი გახსნა და მასში საბავშვო წიგნი იდო. მათი თქმით, არ იციან თუ რა უყონ დანარჩენ საჩუქრებს.

– სავარაუდოდ, საჩუქრებს შორის არის წიგნები, სამი-ოთხი რბილი სათამაშო და შესაძლოა ლეგოს კონსტრუქტორიც, – აღნიშნა უილიამსმა.

მისი თქმით, პენსიაზე გასვლამდე მეზობელი ღრმა წყალში მყვინთავად მუშაობდა და შესანიშნავ ადამიანად ითვლებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 2. ქართული სპორტული გაზეთი; 3. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 4. ამერიკული სიგარეტი; 6. მსხლის ქართული ჯიში; 9. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 13. პენიცილინის აღმომჩენი ფრანგი ექიმი; 14. რაიმეს მარაგი; 15. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების ფესტივალი საქართველოში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 18. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 20. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი.

თარაზულად: 1. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 5. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 7. ნახევარკუნძული ევროპაში; 8. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 10. სატანვარჯიშო იარაღი; 11. ქართველი კინორეჟისორი; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური ბორჯომ-ხარაგაულის რაიონში; 16. ბრიტანული ყველი; 17. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 19. მწვერვალი კავკასიონზე; 21. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 22. ლითონის ბაგირი გემზე; 23. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა